# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 2012 წელი.

№145 (7021)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## არჩევნებამდე ქალის დემონსტრირება და ნერვების ომი იქნება




3-4

## მილიარდიან თამასას მთავრობა წელსაც გადაახტება

4

## „თუ ალასანია მოიგებს ზუგდიდს, მისი შანსები – გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, გაიზრდება“

6

## „ქართული ოცნება“ – ვარდების ნაცვლად

8

## გუშინდელი ფოსტიდან

**ბარიკადა, გარკვეული აზრით, მუდამ იყო, არის და იქნება ადამიანებს შუა აღმართული. ერთ მხარეს ისევ მუდამ მომავლისკენ გამაცქერალნი დგანან, ხოლო მეორე მხარეს ტკბილ ცხოვრებას შეჩვეულნი და ჩაბღაუჭებულნი.**

ასეა დღეს საქართველოშიც, ვითომ დამოუკიდებელში, ვითომ თავისუფალში, ვითომ დემოკრატიულში. სულ ვითომ, ვითომ, ვითომ... გააჩნია, ვისთვის არის ქვეყანა დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული.

ვისთვისაც არის, იმათგან ბევრი (დაქირავებულნი, რასაკვირველია,ძ არც მალავს, რომ არამც და არამც არ ეთმობა სანუკვარი ქერის ორმო, სადაც თითქმის უკვე ცხრა წელიწადი ჩათბუნებულად გრძნობს თავს...

აი, მაგალითად, ეგრეთ წოდებული ჟურნალისტი (მაღალანაზღაურებადი, რასაკვირველია,ძ პრეზიდენტის სეხნია თავხელიძე წამდაუწუმ იმეორებს, მე არ მინდა ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, რომელსაც მართავენ აღვირახსნილი უპასუხისმგებლო პოპულისტებიო, არადა, ის უკვე ცხოვრობს სწორედ ასეთ ქვეყანაში, მაგრამ თავის ნათქვამში მაინც მომავლისკენ გამაცქერალი პრეზიდენტის ოპოზიციას გულისხმობს. სეხნიას არც პრეზიდენტის ანჩხლი ამორძალი, ჟურნალ „ტაბულის“ რედაქტორი თამარ ჩერგოლეიშვილი უდებს ტოლს. მე ყველანაირად მაგარი ტიპი ვარ, თქვენ ყველანი მხდალები ხართო, ისევ ოპოზიციას მიმართავს ჟურნალისტი თამარქალი, რომელიც, არ არის გამორიცხული, რომ პირველ ლედობასაც კი უმიზნებდეს (უსამართლო და მოძალადე ქვეყანაში ყველაფერია მოსალოდნელი!ძ.

ზემოხსენებულთაგან განსხვავებით, უფრო შენიღბული თუ შეფარული პოლიტიკის გზას ადგას ოცდაოთხსაათელი პაატა ვეშაპიძე, რომელიც ბოლო დროს აშკარად ტელევარსკვლავი გახდა – თითქმის ყველა არხის ეკრანზე ჩნდება და ერთგვარად ჟურნალისტიკის მოძღვრად გვევლინება. ასე იყო 30 ივლისსაც, როცა „მაესტროს“ პოლიტმეტრში ვიხილეთ უთუოდ მიუკერძოებელ, კარგ ჟურნალისტთან – დაჩი გრძელიშვილთან ერთად, რომელიც აშკარად უხერხულად გრძნობდა თავს თავისი ოფიციოზელი კოლეგის არაგულწრფელი მოძღვრობისა გამო.

## როცა ჟურნალისტს არც არაფრის არა რცხვენია...



არცთუ პატივცემულმა პაატამ, ჯერ ერთი, ხელისუფლებისგან ყოველმხრივ პრივილეგირებულ და მონოპოლიურ მდგომარეობაში ჩაყენებული „24 საათი“ რატომღაც მიუმხრობლობის ოაზისად გამოაცხადა, მეორეც, ნინო ჟიჟილაშვილის არც ერთ შეკითხვას პირდაპირი პასუხი არ გასცა და მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების უბადრუკ დამცველად წარმოჩინდა.

შეკითხვა ძირითადად ორი იყო. ზუგდიდში უხერხული თუ გაუგებარი სახელით („მოჯი“ძ შექმნილი ორგანიზაციის წარმომადგენელი ვინმე მალხაზ ბასილაია (ესეც მაღალანაზღაურებადი, რასაკვირველია,ძ თავის ზონდერბრიგადასთან ერთად მუშაობის საშუალებას არ აძლევდა „ინფო-9“-ის ჟურნალისტებს, რომლებიც მესტიაში იყვნენ ჩასულები ბიძინა ივანიშვილის სტუმრობის გასაშუქებლად. ოცდაოთხსაათელ რედაქტორს ეკითხებოდნენ, როგორ შეაფასებდა თავისი ზუგდიდელი ვაიკოლეგების ავბედით საქციელს. მეორე კითხვა ეხებოდა იმ მეხსიერების ბარათს, ანუ ეგრეთ წოდებულ ჩიპს, რომელიც, როგორც წინასაარჩევნო სამხილი, გაზეთ „გურიანიუს“-ის ჟურნალისტებს ჩაუვარდათ ხელში ვინმე ლანჩხუთელი პოლიციელისგან.

იმ პაატასაგან განსხვავებით, ვისი სეხნიაც არის „24 საათის“ რედაქტორი, ამ პაატამ, ისევ „24 საათის“ რედაქტორზე მოგახსენებთ, ჩემს თვალში საბოლოოდ შეირცხვინა თავი. კარგა ხანს ღერღა და, როგორც იტყვიან, ერთი ჩათბუნებული ადგილით ძლივს ამოღერღა არალოგიკური მიკიბულ-მოკიბული პასუხი – ყველაფერს ხელისუფლებას ნუ ვაბრალებთ, რაც ქართულ ჟურნალისტიკას დღეს სჭირს, ესე იგი, ორ ბანაკად რომ არის გახლეჩილი, მიზეზი ჩვენსავე თავში უნდა ვეძებოთო... მოდი და გაიგე, კონკრეტულად ვის თავს გულისხმობდა „24 საათის“ რედაქტორი, რომელსაც, როგორც ცხადად ჩანს, დღევანდელი კვერცხი ბევრად ურჩევნია ხვალინდელ ქათამს, მით უმეტეს, თუ ხვალინდელი ქათმის იმედიც აქვს ამ მთელი თავისი არსებით მიმხრობილ „მიუმხრობლობის ოაზისის“ კარგა გვარიანად გაზულუქებულ მკვიდრს.

**ნუგზარ წიკლაური,**
ვეტერანი ჟურნალისტი,
ქ.თბილისი.

## ზღვა, ნაგავი, ქალები და ჩვენ

7



ელექტორატი

**მუსლიმანებით დასახლებულ რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მუსლიმ სასულიერო პირებს „ნაცმოძრაობის“ სასარგებლოდ აგიტაციაში მონაწილეობისკენ მოუწოდებენ. ამის შესახებ For.ge-სთან საუბარში არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო ჩემი სამშობლოა“-ს თავმჯდომარემ ალი ბაბაევმა განაცხადა. მისი თქმით, დმანისის რაიონის სოფელ ირგანჩაიში მცხოვრებ მუსლიმანებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ხმის მიცემას ყურანზე დაფიცებით აიძულებდნენ. ანალოგიური შემთხვევა რუსთავშიც ყოფილა. კერძოდ, მოლებზე განხორციელდა ზეწოლა, რათა მათ მმართველი გუნდის მხარე დაეჭირათ.**

# „ბინძურ პოლიტიკაში მოლების ჩარევა მუსლიმანებისთვის შეურაცხმყოფელია“

**ალი ბაბაევი:** — ხალხი ყურანზე დააფიცეს. ეს რომ გავიგე, დავრეკე იმ სოფელში, ველაპარაკე იქაურებს, დამიდასტურეს, ასეთი რამ მართლაც ხდებაო. მოგვიანებით კიდევ რუსთავში, სამმართველოში ყოფილა შეკრება. გუბერნატორის მოადგილემ და სხვა პირებმა მოლებს დაავალეს, ხალხი აუცილებლად დარაზმეთ, რომ მუსლიმმა მორწმუნეებმა ხმა მმართველ პარტიას მისცენო.

**— ზოგადად მუსლიმანებში ბიძინა ივანიშვილის მიმართ როგორი განწყობაა?**

— სიმართლე გითხრათ, სხვადასხვანაირი განწყობაა. მუსლიმანთა თემები დაშლილია რამდენიმე დაჯგუფებად. ადრე თუ ისინი ეკუთვნოდნენ კავკასიის შეიხს, ახლა გაყოფილია. შეიხმა თავისი წარმომადგენლობა გახსნა თბილისში და სუნიტები ცალკე არიან, შიიტებიც კიდევ სხვა განშტოებებია, მათ შორის, ვაჰაბიტების. ასე რომ, ხალხში განწყობა სხვადასხვანაირია. მუსლიმანი მეც ვარ, მაგრამ მე რაც მწამს, შეიძლება, ეს სხვას არ აინტერესებდეს. ინფორმაცია ვრცელდება, რომ გუბერნატორის მოადგილე, დღევანდელი პარლამენტარი ჰუსეინ უსუპოვი, რომელმაც 2005 წლის 5 დეკემბერს შექმნა მუსლიმანთა საზოგადოება და, რომელიც სათავეში უდგას ამ ორგანიზაციას, თავისთან იბარებს მუსულმან სასულიერო პირებს. ზოგიერთ მათგანს მიმართავენ, ამას თუ არ გააკეთებ, მერე გაგიჭირდება მოლობა. თქვენ კარგად იცით, რომ ჩვენთან მოლას ფუნქცია ის არის, რომ რელიგიური დღესასწაულის დროს წირვა ჩაატაროს და მიცვალებული დაასაფლაოს. მკვდარს რომ დაასაფლავებენ, მერე რიტუალების შესრულება სამი დღე ვიცით, შვიდ დღესაც ვიცავთ, მეორმოცე და ორმოცდამეთორმეტე დღეებიც ვიცით. მოლამ, რომელიც მიცვალებულს მარხავს, ეს რიტუალები უნდა შეასრულოს. ამიტომაც ამით აშინებენ, თუ მხარს არ დაუჭერ მმართველ გუნდს და ამას არ გააკეთებ, ამას გიზამ, იმას გიზამო. ისინიც იძულებული არიან, ამ მეთოდებს მიმართონ. ეს ჩვენთვის მიუღებელია. მე მგონი, არ ღირს ყურანის ასე დამცირება და ყურანით ასე მანიპულირება, ეს შეურაცხყოფას გვაყენებს საქართველოს მუსულმანებს. ჩვენ გვინდა, რეალური, ნორმალური, დემოკრატიული არჩევნები ჩატარდეს; რომელ მუსლიმანსაც რომელი პარტიის მიმართ აქვს პატივისცემა და რომელი ადამიანიც მოსწონს, ხმა მას მისცეს. მაგრამ ასეთ ფონზე ეს შეურაცხმყოფელად მიმაჩნია, როგორც ადამიანს.



**— დაშინების თვალსაზრისით, განსაკუთრებით რომელი რაიონის გამგეობა აქტიურობს და რომელ რეგიონშია ყველაზე რთული ვითარება?**

— ზუსტად აზერბაიჯანელთა კონგრესის თავმჯდომარე მართავს მოლების თავშეყრას, რუსთავში, მარნეულში თავის კაბინეტებში იბარებს მოლებს. ეს კაცი არის ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე ჰუსეინ უსუპოვი.

**— მაინცდამაინც მოლებზე ზეწოლა რატომ გადაწყვიტეს?**

— იმიტომ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურებს არავითარი ავტორიტეტი არ აქვთ თავის მოსახლეობაში. ამიტომ ერთადერთი გამოსავალი ნახეს, რომ მორწმუნე მუსლიმანები ჩართონ ამ საქმეში. ეს არ შეიძლება, ჩვენთვის ეს მიუღებელია. მოლამ უნდა მიხედოს თავის საქმეს, მასწავლებელმა ბავშვებს უნდა ასწავლოს, ექიმმა ადამიანის სიცოცხლე უნდა გადაარჩინოს. ამათ ბინძურ პოლიტიკაში მოლების ჩარევა მიუღებელია.

**— აქამდე მუსლიმანები ნაცმოძრაობის ერთგულ ამომრჩევლებად ითვლებოდნენ. ამჯერად რა შეიცვალა? რატომ სურთ მუსლიმანებს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლა? რას აცხადებენ პირად საუბარში, რატომ აღარ მოსწონთ ნაციონალები?**

— გენაცვალე, ქართველებს რატომ არ მოსწონთ ნაციონალები? მუსლიმანებიც საქართველოს მოქალაქეები ვართ, ჩვენ ისეთივე ადამიანები ვართ და ისეთივე უფლებები გვაქვს, როგორც ქართველებს. თუ მართლმადიდებელ ამდენ მრევლს ეს არჩევანი აქვს გაკეთებული, ჩვენც ასე ვფიქრობთ. თბილისში ამდენი მრევლი გამოვიდა, ქუთაისში ამდენი გამოვიდა, გორში, მცხეთაში... უკვე ოცი წელი გავიდა, რაც ჩვენ გამსახურდიას მივეცით ხმა, შემდეგ შევარდნაძეს მივეცით ხმა, სააკაშვილს რვა წელია, ვაძლევთ ხმას. გაიარეთ ქვემო ქართლის სოფლებში, რეგიონებში, მე-17 საუკუნეში უფრო კარგი გზები იყო, ვიდრე ახლა. ჩვენ გვინდა მთავრობა, რომელიც ხალხის გვერდზე დადგება. ძალიან გთხოვთ, ერთი ჰკითხეთ, მაჟორიტარი დეპუტატი მახნიაშვილი გარდაბნელებს უნახავთ? ბოლნისის დეპუტატი უნახავთ? ანდა, მარნეულის დეპუტატს რამე გაუკეთებია, გამოსულა პარლამენტში, რომ თავისი რეგიონის, თავისი ამომრჩევლის უფლება დაეცვა? თუ გინდ, ნაციონალი იყოს, მაგრამ ჩვენ გვინდა, ადამიანი იყოს, რომელიც თავის მოვალეობას შეასრულებს, როგორც პარლამენტარი და, როგორც ხალხის რჩეული, და არა — დანიშნული დეპუტატი.

**— თუ მუსლიმანებში ასეთი განწყობაა, მაშინ მიხეილ სააკაშვილი როცა ჩადის მარნეულსა და მუსლიმანებით დასახლებულ რეგიონებში, რატომ ხვდებიან ზარ-ზეიმით და ცხვარსაც უკლავენ? რით ახსნით ამას, ესეც მოსახლეობის დაშინებაა?**

— საერთოდ, აზერბაიჯანელებს მასპინძლობა გვიყვარს. რაც შეეხება სააკაშვილის ვიზიტს, ერთი შეხედეთ, გარდაბანში რამდენ ადამიანს უნდოდა ბატონ პრეზიდენტთან შეხვედრა, ან მარნეულში. იქ მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებლები და ბავშვები ან ხელისუფლებისთვის სანდო ადამიანები გამოჰყავთ. დღეს ბატონ პრეზიდენტს ქვემო ქართლში ატყუებენ, თითქოს ყველაფერი კარგად არის. სინამდვილეში, არაფერი კარგად არ არის.

**მარიამ ლოლაშვილი**
For.ge

ამომრჩეველთა ლიგაში

# ხელისუფლების მორიგი ფარსი



**— რამდენიმე საათის წინ ყველანი ხელისუფლების, კერძოდ, პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძისა და მათთან დაკავშირებული სატელიტი ორგანიზაციების მიერ დადგმული ფარსის მომსწრენი გავხდით, — განაცხადა გუშინ ამომრჩეველთა ლიგაში გამართულ ხანმოკლე პრესკონფერენციაზე მისმა ლიდერმა კოკა გუნცაძემ.**

— ჩვენ, საზოგადოებას, ერთიანად ქართველ ხალხს გვაინტერესებს მივიღოთ მკაფიო პასუხები შემდეგ კითხვებზე: **რამდენი ამომრჩეველია საქართველოში? რამდენი ამომრჩეველია გასული ქვეყნის ფარგლებს გარეთ? რამდენი გვარია მიწერილი და დაუდგენელი? ამასთან, მოვითხოვთ, რომ გამოქვეყნდეს და საჯარო გახდეს ამომრჩეველთა ერთიანი სია!**

თუ ამ კითხვებზე პასუხები არ იქნება გაცემული, ცხადი გახდება, რომ ხელისუფლება არჩევნების მორიგი, ფართომასშტაბიანი ფალსიფიცირებისთვის ემზადება, რაში მონაწილეობის მიღებასაც არავის ვურჩევთ.

1 აგვისტოს ჩვენ საგანგებო ბრიფინგს გავმართავთ, სადაც ალტერნატიული „კარდაკარის“ საბოლოო მონაცემებს შევაჯამებთ და შესაბამისი ინიციატივებით გამოვალთ.

პრესკონფერენციის შემდეგ ჟურნალისტებმა რამდენიმე შეკითხვით მიმართეს ბატონ გუნცაძეს, თუმცა მას არც ერთზე პასუხი არ გაუცია.

**ოთარ მერიშვილი**

კრიზისი

# ჩვენში როგორღა იქნება საქმე?

**რაც დრო გადის, ექსპერტებს თანდათანობით უქრებათ გლობალური საერთაშორისო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისიდან მსოფლიო ეკონომიკის საბოლოო თავის დაღწევის იმედები.**

ახლახან საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მსოფლიო ეკონომიკის თაობაზე მორიგი მოხსენება გამოაქვეყნა, რომელშიც მას დიაგნოზი — წლის მანძილზე ზრდის ტემპის შენელება — დაუსვა. ფონდის ექსპერტთა დასკვნით, 2012 წლის დამლევამდე მსოფლიო ეკონომიკა მხოლოდ 3,5 პროცენტით გაიზრდება, ამდენად ჯერ კიდევ წლის დამდეგს წამყვანი ფინანსისტების იმედიანი განწყობისგან სადღეისოდ აღარაფერი დარჩა.

ჩვენთვის ამ მხრივ ყველაზე საგულისხმოა ის გარემოება, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპის შეპრობლემა კრიზისულ ესპანეთსა და იტალიას შეექმნებათ, რომლებსაც ეროვნული ეკონომიკების ზრდის ტემპის საპროგნოზო შენელება, შესაბამისად, 1,5 და 1,9 პროცენტით ელით. ამ ფონზე განვითარების კარგი პერსპექტივები უჩანს რუსეთს, სადაც წლევანდელი ეკონომიკური ზრდა სადღაც 4 პროცენტის, ხოლო 2013 წელს 3,9 პროცენტის დონეზეა ნავარაუდევი. თუმცა, ზრდის ტემპის საპროგნოზო მაჩვენებლის 0,1 პროცენტით დაწევა აქაცაა ნავარაუდევი.

— საერთაშორისო სავალუტო ფონდი თვალს ველარ დახუჭავს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე, — აცხადებენ ექსპერტები. ევროპაშიც, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, ჩინეთშიც, ყველგან ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებაა. სამაშველო ზომების მიღება ჯერ კიდევ სა-



ნელება, როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოხსენებაშია აღნიშნული, მსოფლიოს ფაქტობრივად ყველა ქვეყანას ელის, მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ერთ-ერთ ყველაზე ეფექტიან ჩინურ ეკონომიკებს. **ამის ფონზე, სხვა თუ არაფერი, გასაკვირია საქართველოს მთავრობის განცხადებები იმის თაობაზე, რომ ქვეყნის ეკონომიკა წლის დამლევისთვის საპროგნოზო-დაგეგმილზე გაცილებით მეტად განვითარდება, ხოლო მისი მაჩვენებელი ლამის 6,5 პროცენტს შეადგენს.**

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოხსენებაში ამასთან ასევე აღნიშნულია, რომ განვითარებული ქვეყნების ეკონომიკები წლეულს 1,4 პროცენტით, გაისად კი 1,9 პროცენტით გაიზრდება, შესაბამისად საპროგნოზო მატებამ 0,2 პროცენტით დაიწია.

ვარაუდობენ, რომ ყველაზე მეტი ფინანსურ-ეკონომიკური ...

...მი წლის წინათ იყო საჭირო, როცა კრიზისის პირველმა ტალღამ გადაუარა მსოფლიო ეკონომიკას. სწორედ მაშინ იყო აუცილებელი იმის გაგება, რომ **გასული კრიზისი არა ფინანსური, არამედ ეკონომიკის თანამედროვე მოდელის კრიზისი იყო.** მაგრამ მაშინ ამას მსოფლიო ეკონომიკის „გენერლებმა“ სათანადო ყურადღება არ მიაქციეს, ამიტომ შედეგად მსოფლიო ეკონომიკა ვარდნას კვლავაც განაგრძობს.

**ამ ფონზე, ალბათ, კიდევ უფრო უსუსურად გამოიყურება საქართველოს ეროვნული ეკონომიკა, რომელშიც რომელი სისტემაა დამკვიდრებული, დანამდვილებით ვერც ერთი ექსპერტი ვერ იტყვის, რადგან თავისუფალი ბაზრის პრინციპები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა. ამდენად, ჩვენში როგორ იქნება საქმე, თვალის ერთი გადავლებით ძნელი სათქმელია.**

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

## ჯავახიშვილი უგულავას პროკურატურაში უჩივის

**„ქართუ ბანკის“ პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი ბანკის ყოფილი იძულებითი მმართველის, ვლადიმერ უგულავას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვს. მისი თქმით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრას უგულავას გარდა ის ბანკის დროებითი სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმართაც მოითხოვს, რომელთა მონაწილეობით, ბანკის დროებითი მმართველობის დროს, 4 დეველოპერულ კომპანიაზე 50 მილიონი დოლარის სესხი გასცა, რომლის გაცემის შესაძლებლობაც ბანკს ფიზიკურად არ აქვს. ამასთან, ხელშეკრულებები პროცედურული ნორმების დარღვევით გაფორმდა.**



## ქონებას უსაბუთოდ უყადაღებენ

**პოლიტიკური პარტიებისთვის დაუსაბუთებელი თანხების შეწირვის მოტივით 16 პირს ქონება და ანგარიშები დაუყადაღეს, — ამის შესახებ ერთ-ერთმა შემომწირველმა, „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენელმა ალექსანდრე შალამბერიძემ განაცხადა.**

**შალამბერიძის თქმით, მისი ქონება და ანგარიშები, რომელსაც ყადაღა დაედო, დაკისრებული ჯარიმის თანხას ვერ უზრუნველყოფს.**

**ამასთან, შალამბერიძის თქმით, დაჯარიმებულ არც ერთ პირს ჯარიმა არ გადაუხდია.**

ინტერპრესნიუსი

## თვალსაზრისი

# არჩევნებამდე ძალის დემონსტრირება და ნერვების ომი იქნება

**„ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, დაბლოკოს ოპონენტების ფული. ბიძინა ივანიშვილმა თითქოს დაიბრუნა ბანკი „ქართუ“, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რაიმე მიზეზს კვლავ მოძებნიან და ისევ დააჯარიმებენ ბანკს. ეცდებიან, ყველანაირად დაბლოკონ როგორც ივანიშვილის, ისე კალაძის ფული, რადგან ხელს არ აძლევთ, ვინმემ ისეთი ოპონირება გაუწიოს, რაც შემდგომში საარჩევნო შედეგებზე იმოქმედებს“, — გვითხრა საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის დირექტორმა კახა კახიშვილმა:**

როდესაც პოლიტიკურ ძალებს შეეძლოთ გაეპროტესტებინათ ცვლილებები „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონში“, თქვეს, — ხელისუფლება ამ კანონით ვერ შეგვაჩერებსო და უკვე ვხედავთ, რამხელა პრობლემები შეუქმნეს ოპოზიციას ბანკების, ფირმების, ფულის დაყადაღებით და ანგარიშების მონიტორინგზე დასმით. ბევრი ჩვენი მოქალაქის ანგარიში მონიტორინგზეა იმის გამო, რომ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და პროკურატურის თანხმობის გარეშე ბანკი ვერანაირ საბანკო ოპერაციას ვერ განახორციელებს ამ ანგარიშებზე.

მაშინ, როდესაც ოპონენტებს ზღუდავს, თავად ხელისუფლება მაქსიმალურად იყენებს თავის ხელთ არსებულ ბერკეტებს. ხელშეკრულებებს დებს ახალ-ახალ ლობისტურ კომპანიებთან, რათა მისი სახე უფრო დემოკრატიული გამოჩნდეს აშშ-სა და ევროპაში. ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, ოპოზიციის მოქმედების არეალი შეზღუდოს და სწორედ ეს არის ერთადერთი საფუძველი იმისა, რომ ხელის ერთი მოსმით აყადაღებენ ანგარიშებს. ადამიანების დაყადაღება არ შეუძლიათ, თორემ სიამოვნებით დააყადაღებდნენ ივანიშვილს, კალაძეს, მთელ „ქართულ ოცნებას“ და კიდევ სხვა პოლიტიკურ ძალებს.

ასეთი პრობლემები არ იქნებოდა, სასამართლო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი რომ ყოფილიყო, მაგრამ სამწუხარო რეალობა ისეთია, რომ ყველანაირი მტკიცებულების გარეშე, მხოლოდ სურვილის საფუძველზე შეუძლიათ მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი სტრუქტურების მანქანა აამოქმედონ ორგანიზაციისა თუ პიროვნების წინააღმდეგ.

კახი კალაძის საქმეში ფაქტია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების გაუქმება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს, რომელიც, სამწუხაროდ, ხელისუფლების კონტროლქვეშაა. „ქართული ოცნების“ ლიდერს და მის თანაგუნდელებს ეს წინასწარ გათვლილი უნდა ჰქონოდათ, როდესაც გადაწყვიტეს ოპონირება გაეწიათ ისეთი მონსტრისთვის, როგორიც „ნაციონალური მოძრაობაა“.

**— როდესაც ბიძინა ივანიშვილმა 80 მლნ.ლარიანი ჯარიმა გადაიხადა კახეთის დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად, ხელისუფლებამ განაცხადა, - ეს ხალხის დასახმარებლად კი არა, ბანკის დასაბუნებლად გააკეთაო.**

— ამ შემთხვევაში ბიძინა ივანიშვილს სამი ვარიანტი ჰქონდა: პირველი - გადაეხადა ჯარიმა, მეორე — არ გადაეხადა ჯარიმა და ხელისუფლება პირისპირ დაეტოვებინა დაზარალებულ მოსახლეობასთან. ბუნებრივია, ხელისუფლება ისე ვერ დაეხმარებოდა ხალხს, როგორც მათ სჭირდებათ და შედეგად მოსახლეობა დაუპირისპირდებოდა ხელისუფლებას, რაც ივანიშვილს პოლიტიკური დივიდენდების მიღების საშუალებას მისცემდა.

ივანიშვილმა აირჩია მესამე ვარიანტი — დაელოდა ხელისუფლების მიერ კომპენსაციის თანხის გამოცხადებას და მერე გადაიხადა 80 მლნ. მოსახლეობის დასახმარებლად. ერთი შეხედვით, ივანიშვილმა ამ სვლით ორი კურდღელი მოკლა: პირველი — დაიბრუნა ბერკეტები ბანკ „ქართუში“ და მეორე — კახელების გული მოიგო. რადგან მოსახლეობას ხელისუფლება უკვე დაპირდა 300-1500 ლარამდე დახმარებას, ივანიშვილის მიერ ბიუჯეტში 80 მლნ ლარის შეტანის მერე დაზარალებულებს გაუჩნდათ მოლოდინი, რომ ხელისუფლებამ დაპირებულზე მეტი უნდა მისცეთ. ხელისუფლება, სავარაუდოდ, არ გაზრდის კომპენსაციის თანხას, რაც მოსახლეობის უკმაყოფილებას გამოიწვევს. თუმცა, მოსახლეობის უკმაყოფილების ზრდას უფრო არჩევნების მერე ველოდები, რადგან არჩევნებამდე ხელისუფლება ეცდება პიარმანქანა ამუშაოს იმის საჩვენებლად, თუ როგორ უდგას მოსახლეობას გვერდში.

ივანიშვილის ადგილზე ბოლომდე არ ვალიარებდი ჯარიმას და არც გადავიხდიდი. ივანიშვილს შეეძლო ვა-ბანკზე წასვლა — დაეტვირთა მანქანები სამშენებლო მასალით და ჩაეტანა სტიქიით დაზარალებულ რეგიონებში. აბა, მაშინ ეთქვა ხელისუფლებას — მოსახლეობის მოსყიდვა ხდებაო, მაშინვე დაიმსახურებდა დაზარალებული მოსახლეობის რისხვას.

**— გარდა ოპონენტებისა, ხელისუფლება მოქალაქეების საარჩევნო უფლებებსაც ზღუდავს. ირკვევა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძის ბრძანების საფუძველზე შესაძლოა, უცხოეთში მცხოვრებმა ჩვენმა მოქალაქეებმა არჩევნებში მონაწილეობა ვეღარ მიიღონ.**

— სასაცილო ის არის, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ, ერთი მხრივ, მიიღო საკონსტიტუციო ცვლილება, რომლითაც ევროკავშირის მოქალაქეებს მისცა როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლება და მეორე მხრივ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლითაც ბევრ ჩვენს მოქალაქეს წაართვა კონსტიტუციით გარანტირებული ხმის მიცემის უფლება.

როდესაც პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, დავინახეთ არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, რომელთაც დაიწყეს საქართველოდან არალეგალურად წასული ჩვენი მოქალაქეების მობილიზაცია. საქართველოს ხელისუფლებამ გათვალა, რომ არალეგალი მოქალაქეების ხმები მასზე არ იქნებოდა ორიენტირებული და... ჯერ პრობლემა შეექმნა სერვერს, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა (ინტერნეტით) საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა, მაგრამ რადგან ემიგრანტები არ შეეპუენ ამ პრობლემას, ხელისუფლებაში დაიწყეს ფიქრი, თუ როგორ შეექმნათ მათთვის პრობლემა ხმის მიცემისას და უცებ საგარეო საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლითაც, შესაძლოა, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს არალეგალ მოქალაქეებს არჩევნებში მონაწილეობა შეეზღუდოთ. უცხოეთში მცხოვრებმა ჩვენმა მოქალაქეებმა ხმა რომ მისცენ, საკონსულოში აღრიცხვაზე უნდა დადგნენ, აღრიცხვაზე დადგომისთვის კი აუცილებელია ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, რომელსაც ადგილობრივი პრეფექტურები გასცემენ. ამ ცნობის აღება ჩვენი არალეგალი მოქალაქეებისთვის პრობლემაა, რადგან ამ ცნობას ადგილობრივი პოლიციის მიერაც სჭირდება დადასტურება. არალეგალი მოქალაქე როგორც კი მივა ადგილობრივ პრეფექტურაში, დეპორტაცია ემუქრება.

იხ. 4 გვ.




## ინფორმაცია



### „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები აკურის მოსახლეობას შეხვდნენ

**კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ შეხვედრა, მოსახლეობის ინფორმირებასთან ერთად, სტიქიით დაზარალებული ოჯახების ზარალის აღწერას ემსახურება.**

**— ეს არის პროექტი, რომელიც ჩვენ დავიწყეთ, გამომდინარე იქიდან, რომ ბიუჯეტში გაჩნდა დამატებით 80 მილიონი. ჩვენი სურვილია, დაზარალებულებმა ეს თანხა უშუალოდ მიიღონ, ყოველგვარი თეთრის გვერდზე გადადების გარეშე. ამიტომ, ჩვენ ერთი მხრივ მოსახლეობის ინფორმირებას ვახდენთ, შემდეგ კარდაკარ ჩამოვივლით, აღვრიცხავთ, ვის რა ზიანი მიადგა და შემდეგ უკვე მოვთხოვთ ხელისუფლებას, რომ ადამიანებს რა ზარალიც მიადგათ, აუნაზღაურდეთ. თუ შენ ხარ ხელისუფლება და ზრუნავ ადამიანებზე, არის ფული და თუ არ არის საკმარისი, დავამატებთ, — განაცხადა სესიაშვილმა.**

### პრეზიდენტმა თელავში ვიზიტისას ტელეშოუ მოაწყო

**პრეზიდენტმა თელავში ვიზიტისას ტელეშოუ მოაწყო, — ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ წევრმა ირაკლი სესიაშვილმა განუცხადა, რომელიც სოფელ აკურაში მოსახლეობას შეხვდა.**

**— მე მინდა, სააკაშვილს ვუთხრა, რომ ნუ ფლანგავს ფულს. მე ვნახე, როგორ მოიყვანეს სატვირთო მანქანები და ტრაქტორები. ნაშრომი ჯარისკაცები მოიყვანეს და დააყენეს იმ სიცხეში, თვითონ კი ვერტმფრენით გადმოუფრინა ამ ბიჭებს. რატომ ხარჯავს ამ ფულს, ეს ხომ მინიმუმ 50 ათასი ლარი დაჯდებოდა? ამასთან, პრეზიდენტთან ხალხი არ მიუშვეს, — განაცხადა სესიაშვილმა.**

**სესიაშვილმა მოუწოდა, პრეზიდენტს შოუებში ფულის დახარჯვას თავი დაანებოს და დაზარალებულ ხალხს სახლები გაურემონტოს.**

### „ლეიბორისტები“ ავღანეთიდან ქართველი სამხედროების გამოყვანას მოითხოვენ



**ამის შესახებ პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა კახა ძაგანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.**

**მისი განცხადებით, „ლეიბორისტულ პარტიას“ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეტანილი ჰქონდა მოთხოვნა რეფერენდუმის ჩატარების საკითხზე— უნდა მონაწილეობდნენ თუ არა ქართველი ჯარისკაცები ავღანეთის სამშვიდობო მისიაში, თუმცა რეფერენდუმი დაიბლოკა.**

**— სარეფერენდუმო საკითხი ავღანეთიდან ჩვენი ჯარების გამოყვანაზე, ცესკოში ივანიშვილი-სააკაშვილის უმრავლესობამ ჩააგდო და აი, ამრიგად, ჯარისკაცი ფანცულაია შეეწირა კრიმინალი პრეზიდენტისა და კრიმინალ-ოლიგარქის ნატოურ ვნებებს. გვაინტერესებს, თუ ასეთი კარგია ავღანეთში ამერიკის მოკავშირეობა, რატომ არ აგზავნიან ეს პერსონები თავიანთ შვილებს, ძმებს, ნათესავებს, — აცხადებენ „ლეიბორისტები“.**

ინტერპრესი

◉ ვალები

# მილიარდიან თამასას მთავრობა წელსაც გადაახტება

**ბოლო რამდენიმე წელია, საქართველოს მთავრობა საგარეო ვალების მოცულობას ყოველწლიურად თითო მილიარდით ზრდის. გამონაკლისი არც 2012 წელია. ხელისუფლება წელს 946 მილიონი ლარის კრედიტს აიღებს.**

საგარეო ვალების ასეთი დიდი მოცულობით მიღება ძალიან შემაშფოთებელია, მით უფრო, რომ 2013 წლიდან ვალების მომსახურების საკითხში დიდი გამოცდა გველის. სწორედ რამდენიმე თვის შემდეგ იწყება აქამდე ნაგროვები ვალების ძირითადი ნაწილის მომსახურება.

**წლევანდელი ვალების თითქმის ნახევარს რეგიონალური ინფრასტრუქტურის სამინისტრო ხარჯავს. დანარჩენს ხელისუფლება ენერგეტიკული სისტემებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში დახარჯავს.**

174 მილიონი ლარი, ხელისუფლებამ EBRD, EIB, KfW-სგან შავი ზღვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისთვის ისესხა. 53,3 მილიონი ლარის კრედიტი დაიხარჯება შიდა სახელმწიფოებრივი გზების რეაბილიტაციისთვის. 90 მილიონ ლარამდე სვენეთის, რუისისა და რუისი-რიკოთის ავტომაგისტრალის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის მსოფლიო ბანკმა გვასესხა. მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების პროექტი (ხიდები, ესტაკადები, გვირაბები) 102 მილიონი ლარის კრედიტით აზიის განვითარების ბანკმა დააფინანსა.

**სახელმწიფო ვალი საბიუჯეტო შემოსავლების 135%-ს აღწევს. სპეციალისტების განცხადებით, აღნიშნული მაჩვენებელი ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს. ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 2012 წლის 31 მარტის მდგომარეობით, მთავრობის საგარეო ვალი 3,8 მილიარდი დოლარია, ეროვნული ბანკის საგარეო ვალმა კი 5,2 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.**



სწორედ საგადასახადო შემოსავლები და სახელმწიფო ვალი დასახელდა საქართველოს მთავარ ფისკალურ რისკებად კვლევაში, რომელიც „პი-ემ-სი“ კვლევითმა ცენტრმა ჩაატარა.

**„ბოლო წლების მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, როდესაც რამოდენიმე განვითარებული ქვეყანაც კი აღმოჩნდა დეფოლტის წინაშე, კიდევ უფრო აქტუალური გახადა ფისკალური მდგრადობის შესწავლა. მსგავსი სცენარი რომ არ განმეორდეს, საჭიროა წინასწარ შეფასდეს ქვეყნის გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობა, რამდენად მზად არის ქვეყნის ეკონომიკა უპასუხოს შესაძლო ნეგატიურ გამოწვევებს“,** — აცხადებენ კვლევის ავტორები.

„პი-ემ-სი“ კვლევითმა ცენტრმა ფისკალური სტაბილურობის შესუსტების ორი რისკი გამოყო: საგადასახადო შემოსავლების დინამიკის შემცირება მსპ-ის მიმართ და სახელმწიფო ვალის ზრდა მსპ-ის მიმართ.

მკვლევართა ჯგუფმა გამოიკვლია, რამდენად შენარჩუნებადია დადებითი ტენდენცია და რამდენად მზად არის საქართველოს ეკონომიკა გამოწვევებს, მაგალითად, განმეორებით ფინანსურ კრიზისს უპასუხოს.

**კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საშუალო და გრძელვადიან პერიოდში საქართველოს სავალო კრიზისი არ ემუქრება. მეტიც: ქვეყნის ფისკალური სექტორი მზად არის, გაუძლოს ეკონომიკური ზრდის, სავალუტო კურსის და ბიუჯეტის დეფიციტის 3-წლიან შოკებს.**

მათი თქმით, კვლევამ აჩვენა, რომ ვალის მომსახურების მაჩვენებელი არ არის ისეთი სიდიდე, რომელმაც შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ქვეყნის გადახდისუნარიანობას. მეორე მხარეა სოციალური ვალდებულებები (ხელფასები, პენსიები, სოციალური დახმარებები და ა.შ.), რომლის ფარდობითი სიდიდე (მშპ-ის მიმართ) შემცირდება, თუმცა ნომინალურ გამოსახულებაში ეს ხარჯებიც გაიზრდება.

**„ეს არის გამოწვევა მთავრობისთვის, რა დონეზე ჩაერევა ეკონომიკაში და შემოსავლების გადანაწილებაში. ეკონომიკისთვის ყველაზე არასასურველი სცენარია, სოციალური ხარჯების მაღალი ხვედრითი წილი შენარჩუნდეს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის ხარჯზე. თუ ასეთი პოლიტიკა პერმანენტულად გაგრძელდება, ქვეყნის ფისკალურ მდგრადობას აუცილებლად საფრთხე შეექმნება“,** — დასძენენ მკვლევარები.

**ეკა ბაქრაძე**

◉ თვალსაზრისი

# არჩევნებამდე ძალის დემონსტრირება და ნერვების ომი იქნება

(მესამე გვერდიდან)

საკონსულო აღრიცხვაზე დადგომა ადვილია საზღვარგარეთ ლეგალურად მყოფი ადამიანებისთვის. ლეგალურად უცხოეთში კი ამ ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენები და დიპლომატების ოჯახები არიან. ისინი ვისაც მისცემენ ხმას, ცხადია.

საგარეო საქმეთა მინისტრის ქმედება არის თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება და ამას უთუოდ უნდა მოჰყვეს სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკური სუბიექტების და ასევე უცხოური ორგანიზაციების რეაგირება. გრიგოლ ვაშაძემ ხელის ერთი მოწერით ათასობით ჩვენს თანამოქალაქეს წაართვა ხმის მიცემის უფლება, რაც კონსტიტუციით არის გარანტირებული. სამწუხაროდ, ხელისუფლებას ავიწყდება, რომ ხელისუფლების წყარო ხალხია და ამ ქვეყნის მოქალაქეები მხოლოდ სახელმწიფოს ატრიბუტიკად მიაჩნია.

**— NDI-ის, გრინბერგისა და ახალგაზრდა ფსიქოლოგთა ასოციაციის კვლევის შემდგომ საზოგადოებამ IRI-ს კვლევაც იხილა. რით ახსნით იმას, რომ ყველა კვლევამ განსხვავებული პოლიტიკური რეიტინგი აჩვენა?**

— ამ ოთხივე ორგანიზაციას პროფესიონალიზმზე აქვს პრეტენზია და ოთხივე იტყვის, რომ მაღალ დონეზე აქვთ დამუშავებული კითხვები. თუმცა, კვლევების განსხვავებული შედეგები ადასტურებს, რომ ამ გარემოში ჩატარებული კვლევა ვერ ასახავს ამომრჩევლის რეალურ განწყობას. ამიტომაც ვერც ერთს ვერ დავუჯერებ. IRI-ის კვლევით, რომელიც ბოლოს გამოქვეყნდა, მოხდა ირიბი დადასტურება იმისა, რომ კვლავ „ნაციონალური მოძრაობაა“ ლიდერი. რამდენადაც ვიცი, „ქართულ ოცნებაში“ ბევრს გაუხარდა, რომ IRI-ის კვლევაში „ქართულ ოცნებას“ 24% ჰქონდა ( NDI-ს კვლევით — 18%), მაგრამ IRI-ის კვლევის მთავარი მესიჯი ის არის, რომ მმართველი პარტია, თითქმის, 100 %-ით უსწრებს მასთან რეიტინგით ყველაზე ახლოს მყოფ ოპონენტს. ასეთი ტიპის კვლევები განკუთვნილია საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის აზრის შესაქმნელად. თუკი არჩევნების დროს „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ ასეთივე შედეგი ექნებათ და ეს ოპოზიციამ გააპროტესტა, უცხოელებს გაუკვირდებათ ოპოზიციის უკმაყოფილება. მათ ძალიან გაუჭირდებათ იმის დაჯერება, რომ არჩევნების შედეგი რეალობას არ შეესაბამებოდა.

**— „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ახლახან გამოქვეყნებული დეკლარაციით პოლიტიკურ ძალებს თამაშის წესების დადგენა და ე.წ. „პატიოსანი ბრძოლა“ შესთავაზა. რეალურად რას ემსახურება ეს შეთავაზება?**

— ასეთი დოკუმენტის შედგენის იდეა არასამთავრობოებს გვქონდა, მაგრამ უცებ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ წარმოადგინა ეს დეკლარაცია. ბევრი პოლიტიკური სუბიექტი არ მოინდომებს იმ დოკუმენტზე ხელის მოწერას, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ კარნახობს. დავით ბაქრაძემ გამოაცხადა, რომ არასამთავრობოების მიერ შეთავაზებულ 17 პუნქტს ერთ-ერთ პუქტად დაამატებენ თავიანთ დეკლარაციას. აქ ჩანს მცდელობა, რომ ამ დოკუმენტის ავტორი იყოს ნაცმოძრობა, რაც მგონია, ემსახურება უცხოელებისთვის იმ სურათის შექმნას, რომ ხელისუფლება ყველაფერზე თანახმაა, ოღონდაც სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს. ამავდროულად ქმნიან ფონს, რომ ასეთ პუნქტებზე ხელმოწერისაგან თავს იკავებენ ოპოზიციური პარტიები. ეს პოლიტიკური თამაშია. ხელისუფლება კანონის მოთხოვნებს არ ემორჩილება და დეკლარაციის მოთხოვნას დაემორჩილება? ეს დოკუმენტიც უცხოელებისთვის საჩვენებლად უნდათ. აქაოდა, სამართლიან გარემოს ვქმნით 2012 წლის არჩევნების სამართლიანად ჩასატარებლადო. ხელისუფლების ქმედებებიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება ვირწმუნოთ, რომ ეს დოკუმენტი იმუშავებს?

ხელისუფლება ხშირად ლაპარაკობს მედიის თავისუფლებაზე, მაშინ, როდესაც ტელეკომპანია „კავკასიას“ 2,5 ლარის გამო ანგარიშებს უყადაღებენ და 5-6 მილიონს პატიობენ „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ს. ამით ხომ ბიზნესის განვითარებისათვის აუცილებელი კონკურენტული გარემო ირღვევა.

**— შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არ გჯერათ იმ ხელშეკრულებისაც („ხელშეკრულება საქართველოს“), რომელიც სრულიად საქართველოს შესთავაზა „ნაციონალურმა მოძრაობამ“?**

— მიშა სააკაშვილი გამოცდილი პოლიტიკოსია. კვლევებში ნახა, რომ ხალხი მისი მმართველობით უკმაყოფილოა. ამიტომაც ცდილობს, საკუთარი თავი და მერაბიშვილი გამიჯნოს მმართველი გუნდისაგან და ხელშეკრულებაც კი შესთავაზა საქართველოს მოსახლეობას (ამ ხელშეკრულებაზე სააკაშვილის და მერაბიშვილის ხელმოწერებია). ასეთივე ხელშეკრულება სააკაშვილს 2002 წელსაც ჰქონდა თბილისელებთან, რომელთაც სხვა სიკეთეებთან ერთად ანაბრების დაბრუნებასაც ჰპირდებოდა, მაგრამ მერე ითქვა — ეს ხელშეკრულება „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური აგიტაციის ერთ-ერთი მასალა იყო. „ხელშეკრულება საქართველოსთან“ „ნაციონალური მოძრაობის“ ვებ-გვერდზე გამოჩნდა და ბეჭედიც „ნაციონალური მოძრაობის“ აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ხელშეკრულებაც პარტიული წინასარჩევნო კამპანიის ნაწილია.

**— მიხეილ სააკაშვილმა კახეთში თავის წარმომადგენლად დანიშნა ლევან ბეჟაშვილი, მაშინ როდესაც კახეთს ჰყავს გუბერნატორი (პრეზიდენტის რწმუნებული) ღვინიაშვილი. რეალურად რა მისიით მიავლინეს ბეჟაშვილი კახეთში?**

— კონტროლის პალატის თავმჯდომარეობისას ლევან ბეჟაშვილმა აჩვენა, რომ არაპრინციპული ადამიანია. მას არ აინტერესებდა რატომ იღებდნენ მინისტრები თვეში, ლამის, ორჯერ პრემიას, მაგრამ ძალიან პრინციპული აღმოჩნდა პოლიტიკური სუბიექტების მონიტორინგის დროს. სინამდვილეში ბეჟაშვილი კახეთში იმ თანხების მაკონტროლებლად მიავლინეს, რაც ამ რეგიონისთვის გამოიყო. ბეჟაშვილი იზრუნებს, რომ ეს თანხები ეფექტურად მოხმარდეს ხელისუფლების პიარს და პროპაგანდას. რეალურად, ლევან ბეჟაშვილი დაინიშნა „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის უფროსად კახეთის რეგიონში. მას დაავალებენ ყველა იმ ღონისძიების კოორდინაციას, რაც მიზნად ისახავს საარჩევნო ხმების მობილიზაციას „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ყულაბაში.

**— საქმე იქამდე მივიდა, რომ კულტურის მინისტრმა ნიკა რურუამ ბიძინა ივანიშვილს ქველმოქმედებაც კი დაუწუნა და თქვა, — რაც ივანიშვილმა გააკეთა, ისევ თავიდან გასაკეთებელიაო.**

— ეს ძალიან დაუფიქრებელი განცხადებაა და იმას ნიშნავს, რომ ფული, რაც ივანიშვილმა ხელისუფლებას საქმის გასაკეთებლად მისცა, საქმეს არ მოახმარეს, ყველა ცდილობდა ეს ფული სახლში წაეღო და შედეგად სამუშაოები უხარისხოდ ჩატარდა. ივანიშვილს რაც მოსთხოვეს, იმდენი მისცა და თუ რემონტი ხარისხიანად ვერ გაკეთდა, ნიშნავს, რომ ნახევარი სახლებში აქვთ წაღებული იმ სამშენებლო ფირმების მეშვეობით, რომლებიც ოჯახის წევრებზე აქვთ დარეგისტრირებული.

**— არჩევნების მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური ტემპერატურა მაღლა იწევს. რას იტყოდით მთავარ პოლიტიკური ოპონენტებზე?**

— ეს ხელისუფლება ყველაფერზე წავა, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს. ვფიქრობ, ამიტომაც ილაპარაკა ბიძინა ივანიშვილმა თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ხელისუფლების ეტაპობრივ ცვლაზე. ივანიშვილმა აჩვენა, რომ ძალიან კარგი ორგანიზატორია. ხალხის ასე ორგანიზებულად გაყვანა ქუჩაში და ორგანიზებულად დაშლა, მეტყველებს, რომ ივანიშვილმა იცის ორგანიზებულად მართვა. როდესაც პოლიტიკოსს ხალხის ქუჩაში ორგანიზებულად გაყვანის უნარი აქვს, ხელისუფლებისთვის სერიოზული პრობლემაა. ივანიშვილს თუ დასჭირდა, შეძლებს ხალხის თბილისში მობილიზებას და ხალხის განწყობის აბუჩად აგდება ძვირი დაუჯდება ხელისუფლებას.

დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება არჩევნების მერე წავა დათმობაზე, შეიქმნება კოალიციური მთავრობა და მოხდება სააკაშვილის ხელისუფების დროში გაწელილი, ეტაპობრივი ჩანაცვლება. ვფიქრობ, აშშ-ის ინტერესიც უნდა იყოს, რომ ყველაფერი კოალიციური მთავრობის შექმნით დამთავრდეს. ივანიშვილი ძალიან კარგი მენეჯერია და მისნაირი ადამიანი მხოლოდ ემოციის გამო არ გადაწყვეტდა პოლიტიკაში მოსვლას. ვფიქრობ, არიან სახელმწიფოები (შესაძლოა ეს აშშ-სა და რუსეთის შეთანხმების საგანიცაა), რომლებიც ფიქრობენ, რომ საჭიროა ქართული სახელმწიფოს ახალ ეტაპზე გადაყვანა. პირველი რვაწლიანი ეტაპის განმავლობაში საქართველოში მოხდა ადმინისტრაციული ინსტიტუტების გაძლიერება, გაჩნდა კანონის შიში, მეორე ეტაპი იქნება დაბალანსებული საკანონმდებლო ორგანოსა და მთვარობის შექმნა, მესამე ეტაპი კი იქნება დამოუკიდებელი სასამართლოს ჩამოყალიბება. რადგან ოპოზიციის კოორდინაცია ვერა და ვერ მოხერხდა, არ გამოვრიცხავ, გარკვეულმა წრეებმა, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველოს სტაბილური განვითარებით, ივანიშვილს სთხოვეს, ჩართულიყო პოლიტიკურ პროცესებში. აშშ-ის ინტერესშია საქართველოს ეტაპობრივი განვითარება დემოკრატიული კუთხით. თუნდაც იმიტომ, რომ რეგიონში ჩვენს მეზობლებს უთხრან, — თუ თქვენ ნათესავებს ნიშნავთ თანამდებობებზე, საქართველოში, რომელიც ჩვენ დემოკრატიის შუქურად გამოვაცხადეთ, პროცესები დემოკრატიულად განვითარდა და კოალიციური მთავრობა ჰყავთო. აქ რომ ყველაფერი ერთ დღეში დასრულდეს და ხალხი, ვინც ხელისუფლებაშია, ცუდად წავიდეს, აღარავის გაუჩნდება სურვილი, ჩაებას ისეთ პროექტში, როგორიც იყო ვარდების რევოლუცია. იფიქრებენ, — აშშ ჩვენც გადაგვაგდებსო.

ამიტომაც ვვარაუდობ, რომ არჩევნებამდე იქნება ძალის დემონსტრირება და ნერვების ომი, რაც კოალიციური მთავრობის იდეის გამარჯვებით დასრულდება.

**— არჩევნების რთულ პერიოდს მეტად ამძიმებს ჩვენს საზღვართან დაგეგმილი სამხედრო წვრთნები „კავკასია 2012“. ეს ფაქტი არ გეჩვენებათ საფრთხის შემცველად?**

— არ ვფიქრობ, რომ ასეთი წვრთნები რაიმე საფრთხეს უქმნის საქართველოს. ბოლო პერიოდში საქართველოში არ მახსოვს არჩევნები, რომელის პარალელურად ასეთი წვრთნები არ მიმდინარეობდა, მაგრამ არაფერი მომხდარა.

**იზო რიკაძე,**
**For.ge**

**◎ დაჭრილი ბუნება**

## პარლამენტი — საქართველოს ეკოსისტემის მტერი

**სპეციალისტთა დაანგარიშებით, მსოფლიოს ტყის რესურსები 360 მლნ კუბმეტრია. აქედან საქართველოს წილია 0,13 პროცენტი (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ჩათვლით).** ჩვენში ჭარბობს წიფელი. ტყეთა უმეტესობა ზღვის დონიდან 1500-2000 მეტრზეა (35 პროცენტიძ სპეციალისტთა დაანგარიშებით (ოფიციალური ინფორმაცია არ არსებობს), შეიმჩნევა ტყის დაბერება, მისი ასაკი 100-120 წელია. ასეთია 35 პროცენტი, მაშინ, როდესაც ზრდასრულია 33 პროცენტი.

## ხანძარი ყველაფერს არ ჩამოწერს

**სპეციალისტთა გაანგარიშებით, სამეწარმეო საქმიანობისათვის ბოლო 4 წელიწადში 170 ჰ. ტყე მოიხმარება. ხოლო საერთოდ რამდენი გაიჩეხა, ყველასათვის უცნობია, რადგანაც ტყეთმოწყობის აღრიცხვა 1988 წლის შემდეგ აღარ ჩატარებულა (ყოველ 10 წელიწადში უნდა ტარდებოდეს).** ფაქტია, რომ დიდი რაოდენობითაა გაჩეხილი... ტყის მასივები კიდევ უფრო შემცირდება, — გვიხსნის გარემოს დაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი ილია ხომერიკი, რადგანაც, მას შემდეგ, რაც გარემოს დაცვის ფუნქციები ენერგეტიკის სამინისტრომ შეითავსა, პირველი, რაც მან მოითხოვა, ეს იყო ტყით სარგებლობაზე 50-წლიანი ლიცენზიების გაცემის უფლება. მორჩილმა პარლამენტმა მოთხოვნა დააკმაყოფილა. შედეგად — 3 გაცემული ლიცენზიით 2715 ჰექტარი ტყე გასხვისდა 513 900 ლარად.

ხომერიკი ამტკიცებს, რომ ბუნებრივი რესურსების ხელშეკრულებაში არ არის მითითებული, თუ რა ფართის ტყის მასივი გასხვისდა, რა ჯიშის ხეებია და, რაც მთავარია, რა სახით უნდა ჩააბაროს სახელმწიფოს უკან მოიჯარემ. მან ტყის მასივის 60-65 პროცენტიც რომ გაანადგუროს, პასუხს ვერავინ მოსთხოვს, რადგანაც არც ჩაბარების მომენტში იცოდა ტყის ფართი ვინმემ და არც დროებითი მფლობელობის დროს უთვლის ვინმე მეიჯარეს სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებულ კუბურ მეტრებს.

იმავე სპეციალისტის განმარტებით, ქვეყანაში ტყის პრევენციის არარსებობის გამო ბოლო 4 წელიწადში 2500 ჰა ტყე განადგურდა. ამას ემატება სპეცტექნიკისა და კვალიფიციური კადრის არარსებობა. შარშან აწყურში გაჩენილ ხანძარს 3 თვე აქრობდნენ. დაიწვა 300 ჰა ტყის მასივი.

გარემოს დაცვის სამინისტროს ყოფილ თანამშრომელში ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ მოცემულ პერიოდში ყოველწლიურად მატულობს ხანძრით ტყის მასივების განადგურების მონაცემები: 2007 წ. დაიწვა 4 ჰა, 2008 წ. რუსული აგრესიის პირობებში დაიწვა 1100 ჰა, 2009 წ. — 720, 2010-ში — 810, 2011 წ. — 430, წელს, ხანძარმა უკვე შთანთქა 300 ჰექტარი ტყის მასივი. სპეციალისტი თვლის, რომ ხანძარს მომღერალი მინისტრის ხაჩიძის უწყება მიაწერს უკანონოდ გაჩეხილ ნარგავებსაც.

მაგალითად, დაბა აბასთუმანში ვანო მერაბიშვილის ბიძაშვილის ჯონი მერაბიშვილის გამგეობის პერიოდში უამრავი კუბური მეტრი მოიჭრა. როდესაც ადგილობრივმა მოსახლეობამ და მწვანეებმა განგაში ატეხეს, მერაბიშვილის ხელდასხმულებმა მოჭრილი მორების გამოტანა ვეღარ მოახერხეს და ტყეს ცეცხლი გაუჩინეს. უკანონოდ მოჭრილიც ამ ხანძარს მიაწერეს. ამჟამად ყოფილი გამგებელი ადიგენის გამგეობის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსია. მსგავსი ფაქტები ქვეყანაში მრავლადაა, გამკითხავი კი არავინაა.

## მგლები ჩაწერას ითხოვენ

**შევარდნაძის პერიოდში მგლის მოკვლა (არა ნადირობა) ნებადართული იყო. ჩვენმა „ყვავილოვანმა ხელისუფლებამ“ ევროკონვენციის მოშველიებით მგლის მოკვლაზე 400-ლარიანი ჯარიმა დააწესა.** ევროპაში მგლების რიცხვი მკვეთრად შემცირდა და ისინი „წითელ წიგნში“ შეიტანეს. კანონმდებლობის გამკაცრებაც ამის შედეგია. ჩვენთან კი ყველაფერი პირიქითაა. ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული საომარი მოქმედებების შედეგად, იქაური მგლები ჩვენს ტყეებს შეესივნენ. პოპულაციამ საგრძნობლად იმატა. ისინი ახლა უკვე არა მხოლოდ ზამთარში ჩამოდიან ბარში, არამედ ზაფხულშიც. თავს ესხმიან პირუტყვს, ადამიანებსაც. მოსახლეობას აყენებენ მატერიალურ ზარალს. თავისუფლად დასეირნობენ სოფლებში. ერთი-ორგან გამგეობებთანაც გამოჩნდნენ. ადგილობრივების ირონიული გამოთქმით, ეტყობა მგლებს მობეზრდათ არალეგალური ცხოვრება და გამგებლებისგან მუდმივი ჩაწერის ნებართვას ითხოვენო. მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდა ხელისუფლება და ნადირთან საბრძოლველად სპეციალური ჯგუფი შექმნა. მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. მონადირეთა ნებაყოფლობითი ჯგუფები მუდმივად ვერ გააკონტროლებენ ტყეების პერიმეტრს. ვერც ვანო მერაბიშვილის ძვირადღირებული



მოსასმენი აპარატურა თუ ჩაშვების ინსტიტუტი იმუშავებს. მგლები მგლური ცხოვრებით განაგრძობენ ცხოვრებას. საჭიროა კანონის შეცვლა და მტაცებელზე ნადირობის დაშვება!

## ოღონდ ფული იყოს

**მაშინ, როდესაც მგლებმა მოსახლეობა შეაწუხეს და მათთან საბრძოლველად ხელისუფლება ეფექტიან ზომებს არ იღებს, ახალი კანონმდებლობით საქართველოში ნებადართული ხდება ნადირობა „წითელ წიგნში“ შეტანილი ისეთ სახეობებზე, როგორიცაა დათვი, ჯიხვი, ირემი. ამას „ვარდოსნები“ „სამონადირეო ტურიზმს“ უწოდებენ. ამას კი საერთაშორისო ბუნების დაცვის ორგანიზაციების მწვავე კრიტიკა მოჰყვა.**

ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის კავკასიის ოფისი თვლის, რომ ეროვნულ პარკებში „წითელ წიგნში“ შეტანილ ცხოველებზე ნადირობის დაშვება ეწინააღმდეგება საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებულ საერთაშორისო ბუნების დაცვის სახელმძღვანელო პრინციპებს. ეს კანონი აზრს უკარგავს ეროვნული პარკების, როგორც დაცული ტერიტორიების კატეგორიის არსებობას. რადგანაც უთანაბრებს მათ უფრო დაბალი დაცვის ქვეშ მყოფ კატეგორიებს. ეროვნული პარკები ერთგვარი თავშესაფარია, რეზერვუარია, სადაც ნადირ-ფრინველი ველურ პირობებში მრავლდება, აქ იქმნება რესურსი უფრო დაბალი დაცულობის კატეგორიის სამონადირეო მეურნეობებისათვის. დაცულ ტერიტორიებზე ნადირობის დაშვება საფრთხეს შეუქმნის ქვეყანაში ტურიზმის განვითარებასაც — ნათქვამია ბუნების დაცვის საერთაშორისო ფონდის საგანგებოდ გაკეთებულ განცხადებაში.

ამავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ საკანონმდებლო ცვლილებები გათვლილია მოკლევადიან ფინანსურ ეფექტზე. ხელს შეუშლის მდგრადი სამონადირეო მეურნეობის განვითარებას, დაეცემა ქვეყნის ეკოტურისტული იმიჯი. ყოველივე მიანიშნებს იმას, რომ გადაყრილად ჩაითვლება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი მილიონები ბუნების დაცვის სფეროში, რაც შემდგომში ეჭვქვეშ დააყენებს სერიოზული ღონისძიების (ევროკავშირი, ბუნების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებიძ მხრიდან დახმარების საკითხს — ნათქვამია საერთაშორისო ფონდის სპეციალურად საქართველოსთვის გაკეთებულ განცხადებაში. ჩვენი ხელისუფლება კი, როდესაც მოსახლეობა მას მგლებისგან დაცვას სთხოვს, ევროკონვენციით აპელირებს. როდესაც ოპონენტები ეკოსისტემის საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან კრიტიკაზე მიუთითებენ ეკონომიკურ სარგებელსა და ბიუჯეტის (ნაცების სალაროზეძ შევსების აუცილებლობაზე საუბრობს.

## ბუნებას ხაჩიძის არსებობა აზიანებს

**სააკაშვილის ახირება — ლაზიკა, გარემოს დაცვის სპეციალისტთა განცხადებით, დიდ საფრთხეებთანაა დაკავშირებული. ჯერ ერთი, უნდა ჭაობის დაშრობა, რაც დიდ ზიანს მიაყენებს ნადირსა და გარემოს. ამას მოჰყვება უნიკალური კოლხური ფლორისა და ფაუნის გადაჯიშება-განადგურება. ამასთანავე კოლხეთის დაბლობი გადამფრენი ფრინველის დასასვენებელი ადგილია, რაც თავისთავად ბუნებრივ სამონადირეო მეურნეობას წარმოადგენს.**

სპეციალისტებისგან განსხვავებული მოსაზრება აქვს მომღერალ მინისტრ ხაჩიძეს. იგი აცხადებს, რომ ლაზიკას მშენებლობისას ეკოლოგიური პრობლემები არ წარმოიქმნება. მისივე განმარტებით, ბუნებაზე ჩვენი ანთროპოლოგიური ზემოქმედება არსებობს და ამას ვერ უარვყოფთ. ბუნებას ჩვენი არსებობაც აყენებს ზიანს. მაგრამ ეს რაღაცის წინააღმდეგ არგუმენტი არ არის, — ასკვნის ხაჩიძე.

საქმეში ჩახედული ხალხის აზრით, ბუნებას სწორედ ხაჩიძისა და მისნაირების არსებობა აყენებს ზიანს და სხვა არავინ.

## ნაცები მიწის საფარსაც ყიდიან

**როგორც არასამთავრობოები აცხადებენ, სააკაშვილის ყურმოჭრილი პარლამენტი განხილვისა და დებატების გარეშე აძლევს კანონის ძალას ეკოსისტემის გამანადგურებელ კანონპროექტებს. უფლებისდამცველი ლაშა ჩხარტიშვილის განმარტებით, ენერგეტიკის სამინისტროს შეუძლია, შეთანხმება დადოს კერძო პირთან, რომლის ძალითაც მას უფლება ეძლევა, დაწვას, გაჩეხოს ტყე. ქიმიური ნარჩენებით დააბინძუროს მდინარე, ტბა.**

სპეციალისტთა განმარტებით, საგანგაშოა ქვეყანაში რადიოაქტიური ნარჩენების შემოტანის საკითხიც. ამგვარი ნივთიერებების გადამუშავება-გაუვნებელყოფის დროს ევროპაში ერთ ტონაში 50 ევროს იხდიან. ჩვენთან 30 ევროს. იმის გამო, რომ შემომტანს არავინ სთხოვს მის გადამუშავებას, გაუვნებელყოფას, სარკოფაგებში დამარხვას. ეს კოშმარია, აცხადებენ ექსპერტები.

სპეციალისტები იმასაც აცხადებენ, რომ მინისტრთა კაბინეტიდან გამოჟონილი ინფორმაციით, ხელისუფლება მოლაპარაკებებს აწარმოებს აღმოსავლეთის მწირ და მცირემიწიან სახელმწიფოებთან ქართული მიწის საფარის გაყიდვის თაობაზე. ერთ სანტიმეტრ მიწის ჩამოყალიბებას (მით უმეტეს ჩვენებურად ნოყიერისძ ასეულობით წელი სჭირდება. ესენი კი მის გაყიდვას აპირებენ, აღშფოთებას ვერ მალავენ ნიადაგმცოდნეები.

## რეზიუმეს მაგივრად

ნიურნბერგის პროცესზე ნაცისტების (ჩვენებურად ნაციონალებისძ ერთ-ერთი ბრალდება იყო ეკოციდი. გერმანელებმა უკრაინაში ნიადაგი მოხსნეს და გაიტანეს, რამაც გამოიწვია მოსავლიანობის კატასტროფულად შემცირება და ათასობით ადამიანის შიმშილით სიკვდილი.

**ზაზა ბილიხოძე**

**◎ ინფორმაცია**

## სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიის მუშაობის შედეგები შემაშფოთებელია



**„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე მიიჩნევს, რომ სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიის მუშაობის შედეგები დამაფიქრებელი და შემაშფოთებელია. მისი თქმით, სამმილიონნახევარი ამომრჩევლიდან მხოლოდ 2 200 000 იდენტიფიცირებაა შესაძლებელი.**

**— 200 000-მდე ამომრჩევლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, 300 000-მდე ამომრჩეველი კი უცხოეთშია. ეს რიცხვები დამაფიქრებელი და შემაშფოთებელია. თუმცა ამ სიას მაშინ ექნება აზრი, თუ ეს სია ხალხს, ამომრჩეველს საარჩევნო უბნებზე დახვდება, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ.**

**საარჩევნო სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიამ გუშინ კარდაკარის შედეგების პრეზენტაცია სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გამართა.**

**საარჩევნო სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიამ კარდაკარის პრინციპით 3 483 142 ამომრჩეველი შეამოწმა. როგორც კომისიის თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე აცხადებს, კარდაკარის პრინციპით შემოწმებისას გარდაცვლილი აღმოჩნდა 25 949 ამომრჩეველი, საზღვარგარეთ იმყოფება 291 871 ამომრჩეველი, რეგისტრაციის მისამართიდან მოხსნილია 132 156, შიდა მიგრაციაშია 649 839, ხოლო კონტაქტი ვერ დამყარდა 183 621 ამომრჩეველთან.**

**მამუკა კაციტაძის განცხადებით, კომისია სიების დაზუსტებას კიდევ ერთი თვის განმავლობაში გააგრძელებს. პირველ სექტემბრამდე კომისია სიების დაზუსტების მიზნით მოსახლეობის მიმართვებს შეისწავლის და გაითვალისწინებს.**

**კაციტაძის თქმით, სრული სახით სია 15 სექტემბერს იქნება წარმოდგენილი.**

ინტერპრესი

№145. ოთხშაბათი, 1 აგვისტო, 2012 წელი.

# „თუ ალასანია მოიგებს ზუგდიდს, მისი შანსები – გახდეს საქართველოს პრეზიდენტი, გაიზრდება“



**„ნაციონალური მოძრაობა“ არც არჩევნების თარიღის დასახელებას ჩქარობს, არც საარჩევნო კამპანიის გახსნას და არც მაჟორიტარი კანდიდატების დასახელებას, თუმცა საარჩევნო შტაბებიც გახსნილი აქვთ და მაჟორიტარობის კანდიდატები ამომრჩეველთან მუშაობენ, მაგრამ ამ ყველაფერს რატომღაც ჯერჯერობით არაფორმალური სახე აქვს.**

არსებული ინფორმაციით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ზუგდიდში მაჟორიტარობის კანდიდატად შესაძლოა, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორი, ბაჩო და დათა ახალაიების მამა როლანდ ახალაია წარადგინოს.

ასევე ცნობილია, რომ ახალაია ზუგდიდის მაჟორიტარობისთვის ემზადება და აქტიური მუშაობაც აქვს დაწყებული.

გავრცელებული ინფორმაციით, როლანდ ახალაიას წარდგენის შემთხვევაში, მას მეტოქეობას კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ ირაკლი ალასანია, ხოლო „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან“ ბაჩუკი ქარდავა გაუწევენ.

ხელისუფლება მაჟორიტარობის კანდიდატებზე არ საუბრობს და როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ხათუნა ოჩიაური აცხადებს, მაჟორიტარ კანდიდატებზე მას შემდეგ ისაუბრებენ, რაც ისინი ოფიციალურად დასახელდებიან, მანამდე კი კომენტარს ვერ გააკეთებენ.

**როგორც ექსპერტი კახა კახიშვილი ამბობს, აქ ალასანია არ უპირისპირდება მხოლოდ ახალაიებს. ალასანია უპირისპირდება მთელ ხელისუფლებას, დაწყებული სააკაშვილიდან, დამთავრებული ბოლო, რიგით პოლიციელამდე, რადგან ორივე მხარე ძალიან კარგად აცნობიერებს, რამდენად მნიშვნელოვანია ზუგდიდის მოგება თითოეული მათგანისთვის.**

**დასახელდება თუ არა ირაკლი ალასანია ზუგდიდის მაჟორიტარად? ამას კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არ ადასტურებენ. ირაკლი ალასანიას პრესსპიკერის ვაკო ავალიანის განცხადებით, მაჟორიტარები დასახელდება უახლოეს მომავალში, „მაგრამ რაც შეეხება ბრძოლას, ირაკლი ალასანია პოლიტიკურ ბრძოლაშია ჩაბმული და სამეგრელოში, ისე, როგორც მთლიანად საქართველოში, ცვლილებების და „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების სურვილი საკმაოდ მაღალია. სამეგრელოშიც საკმაოდ მაღალია უსამართლობა და ამ კუთხემ ყველაზე კარგად იცის, რას წარმოადგენს ახალაიების კლანი“,** – ამბობს ვაკო ავალიანი, რომელიც თვლის, რომ **„გამარჯვება იოლი არასოდეს არ არის და როდესაც ბრძოლაში შედიხარ, იმაზე არ ფიქრობ, ეს იოლია თუ რთული. შენ შეხვედი ბრძოლაში და ეს ბრძოლა ბოლომდე უნდა მიიყვანო“.**

რამდენად თანაბარ წონით კატეგორიაში შეიძლება მოვიაზროთ თავისუფალი დემოკრატების ლიდერი და ახალაიების მამა, ამაზე ექსპერტებს საკუთარი მოსაზრება აქვთ.

როგორც ექსპერტი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რთულია, ამის განსაზღვრა, **„იმდენად, რამდენადაც ანალოგიური შეფასებებისთვის სხვა, ნორმალურ ქვეყნებში სოციოლოგიას იყენებენ ხოლმე, მაგრამ ჩვენთან იმდენად დეფორმირებულია სოციოლოგიური მონაცემები, რომ მათზე დაყრდნობა შეუძლებელია.**

**ინტუიციის დონეზე, ახალაია რომ ძლიერი ფიგურაა ზუგდიდისთვის, უდავოა, მაგრამ არც ალასანიას ფიგურა არის მსუბუქი წონისა და, სავარაუდოა, რომ მძიმე ბრძოლა მოელის როგორც ერთს, ისე მეორეს.**

**ერთი ფიგურა, ანუ ახალაია ადმინისტრაციულ რესურსსა და ძალისმიერ კავშირებზე იქნება დაყრდნობილი, ლაპარაკია ზონდერბრიგადებსა და ჯგუფებზე, რომლებიც მოიაზრება ამ გვართან.**

**ალასანია კი იმ ჯგუფს დაეყრდნობა, ვისაც ეს ჯგუფები და ახალაიას კლანი ჩაგრავს. დაახლოებით ასეთი, მჩაგვრელ-ჩაგრულების ბრძოლა იქნება მისი პლუსი.**

**ბრძოლა იქნება საკმაოდ მძიმე, ვინაიდან მჩაგვრელებს თავიანთი პლუსი სწორედ იმით აქვთ, რომ მათ ძალა გააჩნიათ და ამ ძალით იმორჩილებენ ადამიანთა ნებას. მეორე მხრივ, ჩაგრულებს ის პლუსი აქვთ, რომ ხშირად, მათ დასაკარგი არაფერი გააჩნიათ და ამიტომ, მათი ნება მათვე ეკუთვნით. ჩაგრულთა არსებობა და მათი სურვილი, შეიცვალოს სიტუაცია, არის ირაკლი ალასანიას პლუსი.**

**თუკი სამეგრელოში არიან ადამიანები, რომლებსაც სურთ, შეიცვალოს მდგომარეობა სამეგრელოსა და მთელ საქართველოში, სწორედ ეს არის ალასანიას რესურსი“.**

ექსპერტი ლაშა ნაცვლიშვილი ამბობს, რომ ფაქტობრივად ეს იქნება კეთილისა და ბოროტის ბრძოლა.

**„სადღაც ამოვიკითხე, რომ როლანდ ახალაია იქნება „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი. „ქართულ ოცნებას“ ჯერ არ დაუსახელებია ზუგდიდის მაჟორიტარი და სიტუაციის მოდელირება არ ვიცი, რამდენად კორექტული იქნება, ამიტომ ზოგადი შეფასებით შემოვიფარგლები. სიკეთე და ბოროტებაც თანაზომადნი არიან – ერთ მხარეს სიკეთე და ხალხის მხარდაჭერაა, მეორე მხარეს – ძალადობა, უკანონობა და მთელი ის უბედურება, რაც ხდება ზოგადად ქვეყანაში და, კერძოდ – ამ რეგიონში. ქრისტიანი ხალხი ამ ბრძოლაში სიკეთით გაიმარჯვებს“,** – ამბობს ნაცვლიშვილი.

როგორც ჩანს, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ ზუგდიდს მართლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ პირადად სააკაშვილს დაურეკავს ახალაიასთვის და კი არ უთქვამს, პირდაპირ ბრძანება გაუცია, არ მაინტერესებს როგორ, მაგრამ ზუგდიდი უნდა მოიგო, არ მოიგებ და – ყველას მოგხსნითო. იმასაც ამბობენ, რომ თურმე მამა ახალაიას ამ საუბრის შემდეგ გულის შეტევა დამართნია, თუმცა რამდენად შეეფერება სიმართლეს, ეს ამბავი, ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ სამეგრელო ახალაიების კლანის სამფლობელოდ ითვლება, აკონტროლებენ ყველაფერს, რაც ამ მხარეში ხდება და მთავრობაში ბოლოს განხორციელებული ცვლილებიდანაც აშკარაა, რომ დღეს ერთადერთი მყარი დასაყრდენი სააკშვილისა, სწორედ ეს კლანია.

**„ცხადია, რომ სააკაშვილმა საკუთარი ჩამოშლილი ძალაუფლების გადასარჩენად განწირული ნაბიჯი გადადგა და ახალაიების კლანს ანდო თავისი ბედი. არც ერთი საკვანძო თანამდებობა ახალაიების გარეშე – ასეთია სააკაშვილის დამოკიდებულება საქართველოსადმი.**

**ადამიანებმა, რომლებმაც სახელი გაითქვეს ძალადობით, ცინიზმითა და მანიაკალური თვისებებით, ანგარიშსწორებით საკუთარ, ვშიშობ, რომ წარუმატებელ წარსულთან, ასეთ ადამიანს წარმოადგენს როლანდიც და დაურეკა თუ არა მას პრეზიდენტმა, ეს ნაკლებად მაინტერესებს. მიჭირს ამაზე კომენტირება, ისტერიკაში ბრძანებების გამცემი კაცი რომ არის – ვიცით, და ასეთი რამ რომ მომხდარიყო, ეს ამას არ გამორიცხავს.**

**ბრძოლა არ მიდის ახალაიასა და „ქართული ოცნების“ სავარაუდო მაჟორიტარს შორის... პოლიტიკური ბრძოლა, უფრო მეტი ეგზისტენციური გამოწვევა ჩვენი ქვეყნისთვის არის მიხეილ სააკაშვილი. ხოლო ადამიანი, რომელმაც იტვირთა და რომელსაც საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობამ ვანდეთ ამ ბრძოლაში წინამძღოლობა, არის ბიძინა ივანიშვილი. ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის მიმდინარეობს ეს ბრძოლა.**

**თუ მიხეილ სააკაშვილის ფალავანი სამურზაყანოში, სამეგრელოში, ზუგდიდში, იქნება როლანდ ახალაია, მით უარესი მისთვის, რადგან ამ კაცში, ამ კლანში არის კონცენტრირებული ყველაფერი ის, რისგანაც გათავისუფლება სურს საქართველოს და რისგანაც გათავისუფლების მისია დააკისრა თავის ფალავანს ბიძინა ივანიშვილმა. ივანიშვილის ფალავანი ბეჭებზე დადებს, ახალაია იქნება ეს, თუ ნებისმიერი სხვა სატრაპი – პირწმინდად მოიგებს ზუგდიდში არჩევნებს“,** – აცხადებს ლაშა ნაცვლიშვილი.

კახა კახიშვილის შეფასებით, პირველ რიგში, აღნიშვნის ღირსია, რომ ყველაზე რთული თავისი სპეციფიკით არის მაჟორიტარული პრინციპით არჩევნები.

**„როდესაც ზუგდიდზე ვლაპარაკობთ, ორმაგდება ამ ბრძოლის დატვირთვა მით უმეტეს – ოპოზიციის მხრიდან, ვინაიდან ვიცით, რომ კონკრეტული ოჯახის მხრიდან რამდენიმე წელია, იქ ხდება მოსახლეობის განწყობის ძალიან სერიოზული კონტროლი. მით უმეტეს – დღეს, როდესაც ფაქტობრივად, მთელი ოჯახი წარმოდგენილია ძირითად სამინისტროებში. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ირაკლი ალასანიას ზუგდიდში ბრძოლა ძალიან გაუჭირდება.**

**აქ ორი მომენტია გასათვალისწინებელი. პირველია ის, რომ თუ ირაკლი ალასანია მოიგებს ზუგდიდის მაჟორიტარულ არჩევნებს, მისი შანსები იმ ამბიციაზე, რაც მას გააჩნია - გახდეს საქართველოს პრეზიდენტი 2013 წელს - გაიზრდება და ამავდროულად, მოხდება ყველას თვალში, მათ შორის – ზუგდიდელების თვალში, ახალაიების კლანის გარდატეხა და ეს იქნება ფსიქოლოგიურად დიდი გამარჯვება ოპოზიციისთვის.**

**მაგრამ აქ მეორე ვარიანტია - წაგების შემთხვევაში ირაკლი ალასანია, როგორც პოლიტიკოსი, კარგავს ისეთი პოლიტიკოსის შანსს, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს დიდ პოლიტიკურ თანამდებობაზე არჩევის საშუალება. თუ 2012 წლის არჩევნებში ალასანია წააგებს ერთ კონკრეტულ მაჟორიტარულ ოლქში, ბუნებრივია, მას მომავალ არჩევნებში ვერ ექნება ამბიცია დაიკავოს უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობები, რადგან ყველას მისი წაგება ემახსოვრება“,** – აცხადებს კახა კახიშვილი.

არის თუ არა როლანდ ახალაია იმ წონით კატეგორიაში, რომ მისი დამარცხება ქვეყნის მმართველობის სადავეების ხელში აღების თანაფარდი იყოს? ექსპერტების აზრით, ამ მოცემულ დროსა და სივრცეში ზუგდიდის ბრძოლა მთელი ომის ბედს წყვეტს.

კახა კახიშვილი: **„იმ კონკრეტულ ადგილას, სადაც საუბარია, ასეა: როლანდ ახალაია შეიძლებოდა არ ყოფილიყო მძიმეწონიანი კატეგორია თბილისის რომელიმე რაიონში ან სხვა რეგიონში, მაგრამ ზუგდიდში როლანდ ახალაია გაუწევს ძლიერ წინააღმდეგობას ალასანიას ამ საარჩევნო სისტემით, ამ ბარიერით, რაც ჩვენ გვაქვს. იმის გათვალისწინებით, როგორი ხისტია ხელისუფლება, მით უმეტეს – წინასაარჩევნო პერიოდში, იმის გათვალისწინებით, რომ არ ერიდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას და რომ ოპოზიციური პარტიები მაინც და მაინც ვერ შეთანხმდნენ ერთიან მაჟორიტარ კანდიდატებზე. იმის გათვალისწინებით, რომ აქ შეიძლება ვიხილოთ სხვა ოპოზიციური ძალების თუ დამოუკიდებელი მაჟორიტარი კანდიდატები, რომლებიც, ბუნებრივია, გახლიჩავენ ოპოზიციურად განწყობილ ხმებს, იმ კონკრეტულ ოლქში მოგების ძალიან დიდი შანსი აქვს როლანდ ახალაიას.**

**გაითვალისწინეთ ისიც, რომ ძალიან დიდ თანამდებობებზე არიან მისი შვილებიც, და თან ისეთ თანამდებობებზე, რომ არჩევნების დროს ბევრ რამეს წყვეტენ თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილებით“.**

რისი იმედი, ან რა უპირატესობა შეიძლება ჰქონდეს ალასანიას სააკაშვილის ზუგდიდში წარმოქმნილ მონსტრთან საბრძოლველად, რთული სათქმელია. ერთადერთი დასაყრდენი ასეთ ბრძოლაში მხოლოდ ხალხის ერთობა და ნება შეიძლება იყოს, რომელსაც ვერაფერი ვერ ეწინააღმდეგება.

**„ალასანიას უპირატესობა არის ის, რომ ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსია, „ქართული ოცნებიდან“ არის და რეალურად, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ფაქტობრივად, მოსახლეობის 80%-ს, მათ შორის – ზუგდიდშიც, უჭირს, მაგრამ შეძლებს თუ არა ალასანია ამ ხმების მობილიზაციას, იმ შიშის გარდატეხას, რომელიც საქართველოში და ზუგდიდშიცაა, ეს უკვე ალასანიასა და იმ პოლიტიკურ კოალიციაზეა დამოკიდებული, რომელსაც ის წარმოადგენს.**

ლალი ზირაქიშვილი,

For.ge

## ⊙ ინფორმაცია

## წინასაარჩევნოდ პოლიციელებმა მოქალაქეების თვალთვალი დაიწყეს

**კოალიცია „არჩევნის თავისუფლებისთვის“ წარმომადგენლებმა მოიპოვეს ლანჩხუთის რაიონის პოლიციის თანამშრომლის, შმაგი ურატაძის მეხსიერების ბარათი, რომელზეც მოსახლეობის შესახებ ინფორმაციაა ჩაწერილი.**

**როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე კოალიციის წევრმა, „რეგიონული მედიის ასოციაციის“ ხელმძღვანელმა ია მამალაძემ განაცხადა, პოლიციელის ბარათზე ჩაწერილია სოფლების – ადანისა და ჯურუყვეთის მოსახლეობის სია, თუ სად არიან ისინი დასაქმებულები, რა ბიზნესს აწარმოებენ, რომელ პოლიტიკურ პარტიას უჭერენ მხარს და რომელი სამაუწყებლო კომპანიის სატელიტური თეფში აქვთ დამონტაჟებული.**

**– ამ მასალით ირკვევა, რომ პოლიცია სასამართლოს სანქციის გარეშე აწარმოებს თვალთვალს და აგროვებს ინფორმაციას სოფლებში მცხოვრები მოქალაქეების პოლიტიკური შეხედულებების, ოპოზიციის ადგილობრივი ლიდერების, საჯარო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების თაობაზე. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ პოლიციელი ურატაძე სოფელ ადანაში ამ სამუშაოს ასრულებდა არა საკუთარი ინიციატივით, არამედ ხელმძღვანელობის დავალებით, – განაცხადა ია მამალაძემ და დასძინა, რომ მეხსიერების ბარათში ინახება პოლიციელ ბენდელიანის მიერ სოფელ ჯურუყვეთის მოსახლეობის შესახებ ინფორმაციები.**

**კოალიცია „არჩევნის თავისუფლებისთვის“ წარმომადგენლის ირაკლი მელაშვილის ინფორმაციით, რეგიონებში სამართალდამცავები პოლიტიკურ პოლიციელებად არიან გადაქცეულები, რომლებსაც დავალებული აქვთ მოსახლეობის პოლიტიკური შეხედულებების შესწავლა, რაც საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევაა. მედიაექსპერტი ზვიად ქორიძე აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით უშიშროების საბჭოს უწყებათაშორისი კომისიისთვის მიმართვის აუცილებლობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ სასწრაფოდ გამოძიება დაიწყოს. პრესკონფერენციაზე არ დაკონკრეტებულა, თუ როგორ მოიპოვეს პოლიციელის მეხსიერების ბარათი.**

ინტერპრესი

## ზაფხულის ცხელ დღეებში

# ზღვა, ნაგავი, ძაღლები და ჩვენ



**ივლისმა თავისი გაიტანა, ქალაქში სიცხის ისეთი ბუღი დააყენა, ბოლო დღეების შედარებით გრილმა ამინდმაც ველარ გაფანტა. ვისაც ფული ჰქონდა, ზაფხულის ხვატს დროულად გაარიდა თავი, ვისაც არა და სიცხეში იხრჩობა. ამ დღეშია ჩემი ოჯახიც. შვილიშვილები ამიტყდნენ, სულს ველარ ვითქვამთ, საბანაოდ წაგვიყვანეო. ხათრი ვერ გავუტეხე და იქვე, ჩვენს უბანთან ახლოს „თბილისის ზღვაზე“ გავასეირნე.**

შარშანდელს აქეთ აქ თითქმის არაფერი შეცვლილა. ზღვაზე ისევ არ არის ტუალეტი (ადრინდელი ამ სამი წლის წინათ დაკეტეს და დღემდე არ აღუდგენიათძ და სიცხეს გამოქცეული დამსვენებლები ადამიანური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თავს სანაპიროზე გაშენებულ ნაძვნარსა და წყლის ტალღებს აფარებენ. იყო და აღარ არის სასმელი წყალი, ურომლისობასაც „მოაგარაკენი“ პლასტმასის ბოთლებით შინიდან წამოღებული „თბილისის ზღვის“ წყლით, ლუდით, ლიმონათით, სხვადასხვა კომპოტებითა თუ დაგაზული „ბორჯომ“-„ნაბეღლავებით“ ინაზღაურებენ.

ასევე, წასულთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ცენტრალური პლაჟის შესასვლელთან ოდესღაც მდგარი საჩრდილობელი (მას ძირითადად სიცხისგან ქანცგამოცლილი პენსიონერები და მზესუმზირის გამყიდველები აფარებდნენ თავსძ, რომლისთვისაც ბოლო დროს მოხშირებულ ქარიშხლებს უკანასკნელი შიფერი წაურთმევია და კიდევ ჟამთასვლით „დაუძლურებული“ სპორტსავარჯიშოები და ბავშვთა გასართობ-სათამაშოები.

ქალაქის მესვეურთა სასახელოდ, ზღვაზე შეინიშნება ხელშესახები ცვლილებებიც, რაც, ბუნებრივია, გამოწვეულია მოსახლეობის ცხოვრების დონისა და საყოფაცხოვრებო კულტურის ხარისხის მატებით. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც „ნატახტარის“, „ზედაზენის“, „მთიელის“ მაღალმხატვრულად გაფორმებული პლასტმასის ბოთლები (ადრე მხოლოდ „ყაზბეგისა“ და „კასტელის“ ნაწარმს თუ გადააწყდებოდითძ, რომლებიც დამსვენებლებს მთელ პლაჟზე ფეხებში ებლანდებიან, ხოლო ზღვაში შესულებს – ცურვაში „ეჯიბრებიან“. ამას ემატება საზამთროსა და ნესვის გამოხრული ნაჭრები და კიტრის ნაფცქვენებიც, რომლებსაც ცალკეული ნებიერა მოაგარაკენი პირდაპირ წყალში ისვრიან.

ასე რომ, ცვლილებები ნამდვილად არის და მისი დაუნახაობა არ შეიძლება. როგორც უკვე ვთქვი, იმის გამო, რომ შარშან არ იყო ლუდის ამდენი ახალი ნაწარმი, პლაჟზე პლასტმასის ბოთლების შედარებით ნაკლები ოდენობა გროვდებოდა. მეორეც – შარშან ზღვა უფრო სავსე იყო, ძაღლები კი შედარებით ცოტა. წელს პირიქით – ზღვის სანაპირო სავსეა მორბენალი და მოცურავე ძაღლებით – ავჩარკებით, ბულდოგებით, პუდელებით, სხვა უამრავი ოთხფეხა თუ ორფეხა ცხოველით.

თქვენ წარმოიდგინეთ, ერთს წაბლისფერი დათვიც კი ჰყავდა წამოყვანილი საბანაოდ, ხოლო მეორეს – მოხვლიკისფერო მაიმუნი. ეს უკანასკნელი ცურვისას ისე უცნაურად იჭყანებოდა, რომ ირგვლივ მობანავე ბავშვები და მოხუცებიც კი სიცილით იჭაჭებოდნენ.

ძაღლები უფრო სპორტით იყვნენ დაკავებულნი, კერძოდ, ზღვაში ნასროლი პლასტმასის ბოთლების გამოტანით. უნდა ვაღიაროთ, ცხოველთა წყალჯომარდობის ეს სახეობა საკმაოდ მიმზიდველია, ოღონდ ერთი მცირე ნაკლი აქვს – ჭირს გამარჯვებულის გამოვლენა.

რატომ?

ერთ ძაღლს ღონიერი პატრონი (დაკუნთული ვაჟკაციძ ჰყავს, მეორეს – მინაზებული სქესის წარმომადგენელი. ამის შესაბამისად, პლასტმასის ბოთლიც ზღვაში ხან შორს ვარდება, ხან – ახლოს. აქედან გამომდინარე, დაუდგენელი რჩება, რომელმა ძაღლმა რა დროში შეძლო საასპარეზო მანძილის დაფარვა(!ძ.

ამას კიდევ ავიტანდი, მაგრამ შვილიშვილი გამინერვიულდა:

– პაპიი, წავიდეთ აქედან, პაპიი!

– რატომ, შვილო, რა მოხდა?

– მეშინია, პაპიი, ძაღლები მიკბენენ.

– არა, შვილო, დავამშვიდე, – წყალში ძაღლები, ასევე გველები, საერთოდ არ იკბინებიან.

– წყლიდან რომ გამოვლენ?

– აბა გამოსვლას ვინ აცლის, ვერა ხედავ, სანაპიროს მოაღწევენ თუ არა, ბოთლს ისევ წყალში უგდებენ .

ამან მარიამი ერთგვარად დაამშვიდა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის სანაპირო დავზვერე და ვისაც ყველაზე მომცრო ძაღლი ჰყავდა, იმასთან ახლოს დავბანაკდით.

ის იყო ქვეშაგები გავშალეთ და მზეზე მიფიცხება დავაპირეთ, რომ მოშავო-მოყავისფერო ბაჯაჯლანა ბულდოგი ჩვენკენ გამოქანდა. შვილიშვილმა იკივლა.

– ნუ გეშინია, გოგო, ჩემი ძაღლი კბენა არა, – თქვა ფაშფაშა ქერათმიანმა ქალბატონმა, რომელსაც სვეტა ერქვა.

ძაღლი, პატრონის ნათქვამი თითქოს ვერ გაიგოო, ბავშვს პირდაპირ ფეხებში ეცა.

– არაფერია, – თქვა მშვიდად სვეტამ, – სუნი აიგებს და ცამოვა.

– რა სუნზეა ლაპარაკი, ქალბატონო? – ვთქვი შეშფოთებულმა.

– ამხელა კაცი ხარ და სუნი არ იცი? – გაიკვირვა ფაშფაშამ, – ძაგლი სუნი აიგებს და მერე კველგან გიცნობს.

– კარგია, – გამიხარდა მე, – მაგრამ უმჯობესია ძაღლი მაინც თქვენთან ახლოს იყოლიოთ.

– მოდი, ბობი, მოდი! – დაუძახა სვეტამ ძაღლს, მერე ხელჩანთიდან მაგრად დაჭმუჭნული პლასტმასის ბოთლი ამოიღო, შიგ ცოტაოდენი წყალი ჩააყენა და ზღაში მოისროლა. ბობი თვალის დახამხამებაში გადაეშვა წყალში, ბოთლს პირი სტაცა და სულ ხროტინ-ხროტინით გამოიტანა.

– რატომ ხროტინებს? – დავინტერესდი, – ფილტვების ანთება არ ჰქონდეს.

– აბა შენ, კაცო, ბუტილკა პირში, ჰაერის ნეხვატკა ემართება, – ამიხსნა ქალბატონმა სვეტამ.

ბობის, რა თქმა უნდა, ჩვენი საუბრისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ბოთლი რახან გამოიტანა, თავის მოვალეობა შესრულებულად ჩათვალა, ტანი მაგრად შეიქნია და ბეწვზე დარჩენილი წვეთები გაიბერტყა.

– რას გავს ეს! – წამოსწია თავი ხანდაზმულმა დამსვენებელმა, – კაცი პლაჟზე ველარ წამოწოლილა, მთელ სიბინძურეს ზედ დაგაშხეფებენ.

– ვინა ბინცური, ჩემი ბობი ბინცური? – იუკადრისა სვეტამ, დილას ვანაში ერთად ვიბანავეთ.

– მე თავი გამანებეთ და თქვენ გინდა საჭმელიც ერთი თეფშიდან მიირთვით.

– ასე ლაპარაკი არ შეიძლება, ბატონო, – გამოექომაგა სვეტას მეორე ქალბატონი, რომლის პირში ბოთლგაჩრილი ავჩარკა ვეშაპივით მოაპობდა ზღვის ტალღებს.

– რა არ შეიძლება, ქალბატონო, აბა ის შეიძლება თქვენ ტილიან-რწყილიან ძაღლებთან რო გვათანაბრებთ?

– ოი, ოი, – გაასავსავა ხელები ქალმა, – ზოგიერთ უზნეო ადამიანს ძაღლი თუ არ სჯობდეს, თავს მოვიჭრი.

– უყურე შენ ამას, ზნეობაც არ დამიწუნა?! – განრისხდა ბერიკაცი, – ახლავე მოუსვით აქედან თქვენი ძაღლიანად, თორემ პოლიციას გამოვიძახებ და სადაც საჭიროა, იქ მიგაბრძანებთ.

ამ საქმის გამწვავებას მოვერიდე, შვილიშვილებს ხელი ჩავკიდე და პლაჟის დატოვება გადავწყვიტე. ორი ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, დავინახე, ვიღაც ახალგაზრდა პლაჟზე ცხენს მოაგელვებდა. მაშინვე ქობულეთი გამახსენდა. ეტყობა, აქედან ვარდები რომ შეიტანეს, სანაცვლოდ იქაური პლაჟიდან კიდევ აქ ცხენების დოლი გადმოიტანეს.

მაგრამ ვიდრე ამ საკითხს დავაზუსტებდე, ზღვიდან მომავალი, პლაჟის დამსუფთავებელს გამოველაპარაკე:

– თუ ძმა ხარ, – ვეუბნები, – ამ ადგილს რომ ასუფთავებ, სანაპიროს ქვემოთა ნაწილი რომ ნაგავს მიაქვს, იმას რატომ ხელს არა ჰკიდებ?

– იქ შესვლის უფლება არა მაქვს და როგორ დავასუფთავო? ეს პლაჟი მარტო ერთის კი არა, უამრავი ადამიანის საკუთრებაა, – მიხსნის, – ყველა თავის კუთვნილს ასუფთავებს.

გასაგებია, გავიფიქრე, ყველა თავის წილს ასუფთავებს და ამიტომაც მთელი სანაპირო ნაგავსა და სიბინძურეშია. ეტყობა, ეს ამბავი გიგი უგულავას ყურამდე ვერ მივიდა, თორემ აქაურ ნაგავს დენს თუ არა, დამსვენებელთა მობილურ ტელეფონებს მაინც მიაბამდა და ბევრ სხვა რამესთან ერთად ამ ჩაფურთხებულ საქმესაც ამოვსწევდა. აბა როგორ, თბილისში ზღვის უბანილა დარჩა დანაგვიანებული, თორემ სხვაფრივ ნაღდი ევროპელები ვართ!

**ოთარ ხუციშვილი**

## „სად წაიყვან სადაურსა“

# კრებულიდან „100 ქართველი უცხოეთში“

### დაუდ ფაშა გურჯი, 1774-1851



ერაყის უკანასკნელი მამლუქი გამგებელი 1817-1831 წლებში, საქართველოში, ქვემო ქართლში დაბადებული, გვარად მანველაშვილი გახლდათ. ბავშვობაში ტყვეებით მოვაჭრეთაგან გატაცებული, ოსმალეთში გაიყიდა. მოხვდა ბაღდადის ფაშა სულეიმან ბუიუქთან, რომელმაც მამლუქთა სასწავლებელში მიაბარა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა.

**ერაყის მმართველი რომ გახდა, ოსმალეთის სულთანს განუდგა და დამოუკიდებელი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო. არმია გარდაქმნა ევროპულ ყაიდაზე. ქვეყანაში პირველი სტამბა გახსნა. 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომში ცდილობდა ერაყის დამოუკიდებლობის განმტკიცებას.**

**1830 წელს სულთანმა ჯარი გაგზავნა მის წინააღმდეგ, დაამარცხა და დანებება აიძულა (1831 წ.). ამის მერე 2 წელი იყო ბოსნიის გამგებელი (1834-1836); 1836-ში სტამბოლში გადაიყვანეს; 1839-1841 წლებში განაგებდა ანკარის ვილაიეთს. 1841-ში სახელმწიფო სამსახურიდან გადამდგარი, 1846 წელს დასახლდა მედინაში და მისივე თხოვნით დაინიშნა მუჰამედის საფლავის ზედამხედველად.**

**დაუდ ფაშა გურჯი მედინაშივე გარდაიცვალა და ხალიფა ოსმანის საფლავის ახლოსაა დაკრძალული.**

მოამზადა

**თამაზ ებანოიძე**

## ინფორმაცია

# ქვეყანაში აშკარაა საფინანსო საქმიანობის რეგულირების გამკაცრების ტენდენცია

**ამის შესახებ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ გამართული ანგარიშის პრეზენტაციაზე ანალიტიკური ცენტრის „ეკონომეტრის“ წარმომადგენელმა რევაზ საყევარიშვილმა განაცხადა. ანგარიშის სახელწოდებაა – საბანკო და საგადასახო სფეროში განხორციელებული ცვლილებების გავლენა ბიზნეს გარემოზე.**

**საყევარიშვილის ინფორმაციით, 2011 წლის მეოთხე კვარტალსა და 2012 წლის პირველ ნახევარში საქართველოს საბანკო, საგადასახადო, სააღსრულებლო და მომიჯნავე კანონმდებლობამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, რაც არსებით გავლენას ახდენს საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაზე.**

**კერძოდ, განვლილ პერიოდში საბანკო-საფინანსო კანონმდებლობაში განსაკუთრებით გამოიკვეთა „პოლიტიკურად აქტიური პირის“ ან „მასთან უშუალო საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების“ საკითხი, რომელთა მიმართაც ნებისმიერი საფინანსო სერვისის განმახორციელებელ ინსტიტუტს ვალდებულებათა საკმაოდ ფართო ჩამონათვალი, უფლებამოსილებები და სანქცირების პირობები განესაზღვრა.**

**საყევარიშვილმა ხაზი გაუსვა საქართველოს კონტროლის პალატასა და ეროვნულ ბანკს შორის გაფორმებულ მემორანდუმს, რომელიც პოლიტიკური პარტიებისა და პოლიტიკურად აქტიური პირების ფინანსური ოპერაციების შესახებ ეროვნული ბანკიდან კონტროლის პალატისთვის ინფორმაციის მიწოდებას გულისხმობს, რითაც, საყევარიშვილის განმარტებით, პრაქტიკულად მთლიანად მოხდა საბანკო საიდუმლოების ცნების იგნორირება.**

**– საბანკო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ქვეყნის საბანკო-საფინანსო სექტორში ჩამოყალიბდა თამაშის თვისებრივად ახალი წესები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება მანამდე არსებული სამართლებრივი გარემოსგან, – განაცხადა საყევარიშვილმა და აღნიშნა, რომ განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებათა გამოკვეთილი პოლიტიკური კონტექსტი ცალსახად ვნებს ქვეყნის საბანკო სისტემის მდგრადობას, სტაბილურობას და მას პოლიტიკურ პროცესებზე გაცილებით მეტად დამოკიდებულს ხდის, რაც საბოლოო ანგარიშით მის მიმართ ნდობის შემცირების, სხვა არასასურველი პროცესის საფუძველი შეიძლება გახდეს.**

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „ქართული ოცნება" – ვარდების ნაცვლად

## „მე ის გავათავისუფლე იმიტომ, რომ მას მიხეილ სააკაშვილი არ უყვარს!"

სწორედ ასე განმარტა საქართველოში ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა თავისი გადაწყვეტილება, გაათავისუფლოს სამსახურიდან ქართული ენის მასწავლებელი ქალი. მისი დანაშაულია ის, რომ ქალბატონს მოსწონს ოპოზიციური კოალიცია „ქართული ოცნება".

შემთხვევა მასწავლებლის გათავისუფლების შესახებ სავსებით შეიძლებოდა გამხდარიყო პროტესტების ახალი ტალღის მიზეზი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში. როგორც ეს მოხდა 2003 წელს, როდესაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში. მაშინ პროტესტის გამომთქმელები გამოხატავდნენ თავიანთ უკმაყოფილებას ხელში ცოცხალი ყვავილებით. მშვიდობიანმა დემონსტრაციებმა, რომლებშიც მონაწილეობას მოქალაქეების უმრავლესობა ღებულობდა, მიიღო შესაბამისი სახელწოდება – „ვარდების რევოლუცია".

ცხადია, დღეს ქვეყანაში, სადაც მოქმედ პრეზიდენტს განუსაზღვრელი ხელისუფლება აქვს, ეკუთვნოდე მოწინააღმდეგეების პოლიტიკურ ბანაკს – უბრალოდ, მიუტევებელია. ამრიგად, ოპოზიცია უკვე გვაფრთხილებს იმის შესახებ, რომ მომავალი პარლამენტის არჩევნები ოქტომბერში უკვე წინასწარ გაყიდულია.

## პარლამენტის არჩევნები საქართველოში – ოთხი დაუფასებელი გამოწვევა და რისკი

ხელისუფლება ამას კატეგორიულად უარყოფს. ამ მომენტისთვის ორივე მხარე, რომლებიც ერთი-მეორეს სდებენ ბრალს, მოგვიწოდებს, პატივი ვცეთ დემოკრატიას. და ასე იქნება კვლავაც – გააჩნია, ვინც უფრო დიდხანს გაძლებს.

2003 წელს სააკაშვილმა დაამხო ედუარდ შევარდნაძე, რომელიც აირჩიეს იმავე წელს რამდენიმე ხნით ადრე. დასავლეთში გადატრიალებას დემოკრატიული უწოდეს, ის აღნიშნავდა საქართველოს შემდგომ დაშორებას საუკუნოვანი სტრატეგიული პარტნიორის – რუსეთისგან.

სააკაშვილმა უნარიანად გამოიყენა ვითარება თავისი ხელისუფლების განსამტკიცებლად, დაიწყო ქვეყნის მიახლოება ევროკავშირთან და ნატოსთან.

როდესაც კარს ულებდა დასავლურ სამხედრო კავშირს, მას კარგად ესმოდა, რომ მკვეთრად დაარღვევდა ცენტრალურ აზიაში არსებულ სამხედრო ძალების შეფარდებას. სააკაშვილი მაინც მიიჩნევს, რომ ეს შეიძლება იყოს ძლიერი კოზირი მის მცდელობაში, აღადგინოს თბილისის სუვერენიტეტი თავის ორ რესპუბლიკაზე – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, რომლებიც მან დაკარგა რუსეთთან ხანმოკლე ომის დროს 2008 წლის ზაფხულში.



ის, რაც ქართველმა ლიდერმა თავისი პრეზიდენტობის პერიოდში ვერ შეძლო, ეს არის ის, რომ შეცვალოს წესი, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფოს საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში. ის ავტოკრატი გახდა.

## დასავლეთი მხარს უჭერს საქართველოს

„ჩვენ, ვინც მხარი დავუჭირეთ „ვარდების რევოლუციას", თავს ვგრძნობთ გაყიდულებად, მომავალი პარლამენტის არჩევნებს კი – წინასწარ გაყიდულად", – განაცხადა ამ დღეებში საქართველოს ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ამჟამად კი კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერმა თედო ჯაფარიძემ. როდესაც ეჭვს განმარტავდა, რომ მომავალი არჩევნების შედეგები უკვე ცნობილია, ჯაფარიძე მიუთითებს მისი კოალიციის წევრების დამოკიდებულებაზე.

ამ თვალსაზრისით, ყველაზე ნათელი მაგალითია ხელისუფლების უარი, პრეზიდენტის არჩევნების სიაში ჩართოს ბიზნესმენი და ოპოზიციის ლიდერი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც ამჟამად თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს (სტატიაში ასეა მითითებული – რედ.ქ.

საქმე ისაა, რომ მას არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა, თუმცა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი კავკასიურ რესპუბლიკაში გაატარა. ოპოზიციას მიაჩნია, რომ მას დოკუმენტს არ აძლევენ პრეზიდენტის გარემოცვის ბრძანებით.

„ამჟამინდელმა ხელისუფლებამ გაყიდა ყველა ღირებულება და რევოლუციის პრინციპები, რომელთა მიზანიც იყო ყველა ქართველისთვის უკეთესი მომავლის უზრუნველყოფა. ჩვენ ვიბრძვით არა მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოშორებისთვის, არამედ საქართველოს ყველა მოქალაქისთვის ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად", – აღნიშნა ჯაფარიძემ ამასწინანდელ ინტერვიუში.

## საქართველოს ექსპრეზიდენტმა სააკაშვილს ბრალი დასდო სისხლისღვრის მომზადებაში

ბოლო გამოკვლევების თანახმად, ქართველების უმრავლესობა (36 პროცენტიძ ძველებურად მხარს უჭერს მმართველ „ნაციონალურ მოძრაობას". კოალიცია „ქართულ ოცნებას" შეუძლია, იმედი ჰქონდეს ამომრჩეველთა 18 პროცენტის მხარდაჭერისა.

ძალების ასეთმა გადანაწილებამ გაააქტიურა სხვადასხვა „არასამთავრობო ორგანიზაციისა" და უცხოელი დიპლომატების საქმიანობა, რომლებიც სხვადასხვაგვარად უყურებენ პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკას.

საქართველოს გეოსტრატეგიული მდგომარეობის დელიკატურობის გათვალისწინებით, არ არის ეჭვი, რომ ბრძოლა იქნება მკაცრი.

შეცვლის თუ არა „ოცნება" „ვარდებს" მშვიდობიანი გზით, თუ სააკაშვილის წინააღმდეგ მოუწევთ გამოიყენონ რაიმე უფრო კონკრეტული, საქართველოში ამის პროგნოზირებას ვერავინ ახერხებს.

ПОЛИТИКА ONLINE

# დედამიწის ზურგზე

## ისრაელელმა მინისტრმა უთხრა პუტინს თავისი აზრი რუსეთის სახელმწიფო არხზე პროპაგანდის შესახებ



საგარეო საქმეთა მინისტრი ავიგდორ ლიბერმანი და ვლადიმერ პუტინი განიხილავდნენ არხის „რასია ტუდეი" „მტრულ დამოკიდებულებას ისრაელისადმი". საგარეო საქმეთა მინისტრმა ისაუბრა, თუ როგორ ცდილობდა, დაემყარებინა კონტაქტი ჟურნალისტებთან, მაგრამ მათ განაცხადეს, რომ მითითებებს ღებულობენ მოსკოვიდან. ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეორე მაღალი რანგის ჩინოვნიკი ამას დაეთანხმა: ეს არხი „ალ-ჯაზირზე" უარესია.

## ბარაკ ობამა არის პირველი აფრიკელი მონის ოჯახიდან გამოსული, დაადასტურეს მეცნიერებმა

სპეციალისტები იკვლევდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დედის წარმომავლობას, რომლის წინაპართა შორის აღმოჩნდა აფრიკელი, რომელიც შევიდა ამერიკული მონობის ისტორიაში. ახლა ობამას, ბოლოს და ბოლოს, აქვს იმის დადასტურება, რომ მის ქვეყანაში შავკანიანი მონების მემკვიდრეთა პრობლემა მისთვის უცხო არ არის.

## მიტ რომნიმ გააღიზიანა პალესტინელები პროისრაელური განცხადებებით. ისრაელშიც კი გაოცებული დარჩნენ

როგორც რესპუბლიკური პარტიიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატმა განაცხადა, ისრაელის კულტურა გაცილებით უფრო ძლიერია პალესტინისაზე, სწორედ ამიტომ ისრაელელ ხალხს შეუძლია აყვავდეს, მიუხედავად რთული ვითარებისა. რომნიმ თავისი აზრი გამოთქვა ისრაელის სტატუსთან დაკავშირებითაც. მისი აზრით, ეს ისრაელის დედაქალაქია.



## ტირასპოლს სურს, ჰქონდეს რუსეთის სამხედრო ბაზა, მაგრამ მოსკოვი „არ არის დაინტერესებული ფორპოსტით"

ასეთი პერსპექტივის შესახებ საუბრობდა ულიარებელი რესპუბლიკის პრეზიდენტი ევგენი შევჩუკი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან გრიგორი კარასინთან რეგიონში მისი ვიზიტის დროს. ტირასპოლს ეშინია რუმინეთის პრეზიდენტით ტრაიან დესესკუს „გამაერთიანებელი" აქტივობისა. შეგახსენებთ, რომ დესესკუ დარჩა პოსტზე რეფერენდუმის შემდეგ.

## წყნარი ოკეანის ტაიფუნმა „საოლამ" ფილიპინებზე 7 კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა



სტიქიური უბედურებისგან დაზარალდა 40 ათასზე მეტი კაცი. ქარიშხალმა, რომლის სიჩქარეც საათში 150 კილომეტრს აღწევდა, დააზიანა ასობით სახლი და ნაგებობა, ზოგიერთი რაიონი უელექტროენერგიოდ დარჩა. სინოპტიკოსების პროგნოზებით, ამჟამად ტროპიკული ციკლონი მიემართება ტაივანისკენ, პარასკევს კი მან შეიძლება მიაღწიოს შანხაის რაიონს.

## იაპონიამ განაახლა თავისი უფლებების განცხადება კუნძულ ტოქტოზე. სეულმა გადამჭრელი პროტესტი გამოაცხადა

ამჟამად კუნძულს კონტროლს უწევს კორეის რესპუბლიკა, რომელსაც იქ პატარა სამხედრო გარნიზონი აქვს. ამჟამად ერთ-ერთი კუნძულის სანაპიროზე მიმდინარეობს ნავსადგურის მშენებლობა, რომელსაც ექნება საშუალება, მიიღოს უფრო დიდი, ვიდრე ამჟამად, ხომალდები.

## კოლუმბია უფრო მცირე ოდენობის კოკაინს აწარმოებს, ვიდრე პერუ ან ბოლივია

ასეთი მონაცემები აქვს ამერიკის შეერთებული შტატების თეთრ სახლს. იქ მიაჩნიათ, რომ წარმატება მიღწეული იქნა ძირითადად „კოლუმბიის გეგმის" რეალიზაციის წყალობით. კოკაინის ნათესების განადგურების ეს კომპლექსური პროგრამა ითვალისწინებს იატაკქვეშა ლაბორატორიების განადგურებას, ნარკოტრაფიკის აღკვეთას, აგრეთვე ნარკოკარტელების წინააღმდეგ მოქმედებას.



დიახ, უმაღლეს ხელმძღვანელობაში იწყებოდა ინტრიგები 1940-იანის მიწურულს, მაგრამ ბერიას მონაწილეობის გარეშე. იმ დროს, როცა ის დაკავებული გახლდათ ატომური, სარაკეტო და ზოგადეკონომიკური პრობლემებით, უმაღლეს ხელმძღვანელობაში მართლაც გაჩნდა სააპარატო ინტრიგა, რომლის ფორმალური პირველი ფიგურები მაშინ იყვნენ, ალბათ, მეაპარატეები ჟდანოვი, მალენკოვი და კუზნეცოვი, აგრეთვე „მეურნე“ ვოზნესენსკი. ფაქტობრივად კი ინტრიგის მამოძრავებელი ძალები იყვნენ სხვადასხვა აპარატული ფენა, აგრეთვე – საბჭოური ელიტის ის ებრაული ნაწილი, რომელსაც ხელს აძლევდა პარტოკრატიის სულ უფრო არაკომპეტენტური და არაადეკვატური ისტორიული სიტუაციის გაძლიერება...

გამოვთქვამ, როგორც „ინფორმაციას განსჯისთვის“, 1945-1950 წლების ამბების ვერსიას, ამბებისა, რომელთა სრულ გამოკვლევას ცალკეულ ძალისხმევათა მოხმობა დასჭირდება.

ალექსანდრ სერგეევიჩ შჩერბაკოვი რუსი კაცი გახლდათ და „აპარატული“ წარმოშობისა და აპარატული მდგომარეობის მიუხედავად, მეაპარატე არ ყოფილა. მას საუცხოო მეხსიერება ჰქონდა და იმავე დროს გაანალიზებისა და მხოლოდ შემდეგ გადაწყვეტილებათა მიღების უნარი, რითაც საშიში იყო პარტოკრატიისათვის. 1925-1930 წლებში შჩერბაკოვი ნიჟეგოროდსკის საოლქო კომიტეტში მუშაობდა ჟდანოვის ხელმძღვანელობით, მერე ერთხანს – ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად. მიეჩვივნენ „ახალგაზრდა“ კადრად იმის წარმოდგენას, თუმცა ეს მცდარი შთაბეჭდილებაა – ის უბრალოდ ახალგაზრდა მოკლეს, თორემ ისე სულ ორი წლით ახალგაზრდა იყო ბერიაზე.

ჟდანოვი დაქორწინებული გახლდათ შჩერბაკოვის დაზე, ამგვარად ისინი ყოველნაირად შინაურები იყვნენ. სხვადასხვა „მკვლევარი“ წერს ა.შჩერბაკოვისა და ა.ჟდანოვის ურთიერთდაპირისპირებაზე, მაგრამ ეს გადამლაშებად გამოიყურება, რომელიც კვამლის საფარის როლის შესასრულებლადაა მოწოდებული. მე კი საქმე ასე მესახება...

ალექსანდრ შჩერბაკოვი, როგორც სტალინის პარტიის ყველაზე თანამიმდევრული წარმომადგენელი იდეოლოგიისა და კულტურის სფეროში, გარკვეულმა მოლონიერებულმა ბნელმა ძალებმა 1945 წელს მოიშორეს. იმავე ძალებს უშლიდა ხელს ანდრეი ჟდანოვი და იმათვე მოიცილეს 1948 წელს. გარდაქმნილი ელიტა (მისი მძლავრი ებრაული ფრთის ჩათვლით) „კუზნეცოვ-ვოზნესენსკის“ ტანდემის იმედზე იყო, მაგრამ ამ გეგმის ირგვლივ ჯახირზე აბაკუმოვმა შეიტყო და მისი მეშვეობით – სტალინმა, რისი შედეგიც აღმოჩნდა „ლენინგრადის საქმე“.

კუზნეცოვსა და ვოზნესენსკიზე ვარაუდი რომ არ გამართლდა, ახალი ვარიანტის ძიებები დაიწყო. კაცმა რომ თქვას, იმედის ქონა შეიძლებოდა ვიწრო წრეზე: მალენკოვი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, ბულგანინი, ხრუშჩოვი (1949 წლის დეკემბრიდან ცკ-ის მდივანი და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი)... ყველა მათგანის გამოყენება ამა თუ იმ ზომით, ამნაირად თუ იმნაირად, შეიძლებოდა ალალბედზე.

ბერია უმალვე გამოირიცხებოდა – ეს გახლდათ სწრაფი და მახვილი გონება და „მოკეთეების“ მიზნებს მაშინვე ჩაავლებდა, აქედან მათთვის გამომდინარე ყველა შედეგით.

კაგანოვიჩი ემოციური და საკმაოდ გახსნილი კაცი იყო, ინტრიგის მთავარი ფიგურის როლისთვის არ გამოდგებოდა, როგორც მოლოტოვიც. ამასთანავე, ორივე სავსებით ერთგულებდა საბჭოთა ხელისუფლებას და ამიტომ ბნელი ინტრიგებისკენ მიდრეკილებას არ იჩენდა.

მიქოიანი ისე ფრთხილი გახლდათ, რომ მისი იმედი შეიძლება გქონოდა, როგორც გამარჯვებულის საყრდენისა.

ბულგანინის ფიგურაც ვერ შეძლებდა ვერცვის ცდუნებას. რჩებოდნენ მალენკოვი და ხრუშჩოვი. პირველი უჭკუო როდი იყო, არც ამბიციებს მოკლებული, თუმცა – ინერტული. მეორე იყო გონებაშეზღუდული, მაგრამ ქვეშქვეშა და უნამუსო.

აი სწორედ ხრუშჩოვს, ვფიქრობ, მოერგო ყველაფერი. ის ხელსაყრელი ფიგურა იყო როგორც შიგასაკავშირო, ისე მსოფლიო „კულისებსიქეთის“ მანიპულაციებისთვის. ხრუშჩოვი შესაფერი გახლდათ, როგორც ყველა მათთვის, ვინც 1950-იანი წლების დასაწყისისთვის ქმნიდა პარტკორატების „პარტიას“, ისევე რუსეთის გარეშე მტერთათვისაც, რომლებმაც უკვე ჩანერგეს აპარატსა და დედაქალაქის ელიტაში გავლენის წერტილოვანი (ჯერჯერობით) აგენტები. მასზე ფსონის დადება გადაწყდა კიდევაც – პერსპექტივაში!

თანაც, ისევ პერსპექტივაში – სტალინის ამა თუ იმ მიზეზით მომხდარი გარდაცვალების შემდეგ – სასწრაფოდ უნდა მოეცილებინათ ბერიაც, ვინაიდან ის სტალინის მოშორების მერე სსრ კავშირის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების მთავარ პიროვნულ გარანტად მოჩანდა.

ანუ უკვე 1950 წელსვე ობიექტურად გამოიკვეთა ხრუშჩოვისა და ბერიას მომავალი დაპირისპირება; ოღონდ 1951, 1952, 1953 და მომდევნო წლებშიც ხრუშჩოვი, როგორც ეს წარმომიდგენია, „კულისებიქეთის“ ამგვარ არჩევანს ვერცა ხვდებოდა. ვფიქრობ, სამარეშიც ისე ჩავიდა, რომ ვერ გაიგო, თუ მისი გამოყენებით როგორ გატარნეს სამშობლოს ბედი.

ბნელ ინტრიგებთან ერთად ქვეყანაში მაშინ შემოქმედებითი პროცესებიც ვითარდებოდა, ახალი თაობები იზრდებოდნენ; და საზოგადოების ცხოვრებაში სწორი ხაზისას ომისშემდგომი ენთუზიასტების ამ თაობას მშვენიერი პერსპექტივები ელოდა.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. სრ. № 138-144

ბევრი, ბევრი ძალისხმევა მოახმარეს სტალინის სოციალიზმის წარმოდგენას, როგორც პრინციპულად ყაზარმულისა, როგორც სისტემისა და რომელიც ვითომდა ტერორსა და შიშს ეფუძნებოდა; არადა, სიმკაცრეს გარემოება განსაზღვრავდა; და ქვეყანაში დემოკრატიზაციის იდეოლოგი და პრაქტიკოსი ყოველთვის გახლდათ სწორედ სტალინი...

ის რომ ტირანი ყოფილიყო, დაიწყებდა იმისკენ სწრაფვას, რომ სახალხო მასა სრულფასოვნად განათლებული გამხდარიყო? იმდენად განათლებული, რომ ქრება თვით ელიტის ცნებაც, იმიტომ, რომ საზოგადოების ყოველი წევრი ყოველმხრივაა განვითარებული და სხვა ყოველმხრივ განვითარებულ ინდივიდუმებთან გაერთიანებული, უკ-



სერგეი კრემლიოვი

# დიდი ბერია

რამდენიმე თავი ახალი წიგნიდან




ვე არავის არ მისცემს ნებას, რომ „კვინტესენციად“, „საზოგადოების ნაღებად“, „ხალხის მსახურად“, „მიწის მარილად“ მოჰქონდეს თავი.

არადა სტალინი – ეს არის „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები“.

1952 წელი. აი, რითი მიდიოდა სტალინი პარტიის იმ XIX ყრილობისკენ, რომელიც იქცა პირველ ომისშემდგომ ყრილობად და ბოლშევიკების პარტიის მიერ მოწვეულ უკანასკნელ ყრილობად; თანაც რუსეთისა და კაცობრიობის პერსპექტიული სოციალური განვითარების ამნაირ ხედვაში სტალინი განუყოფელი იყო ფიზიკოს აინშტაინისგან. მკითხველს შევახსენებ ამ უკანასკნელის დასკვნას:

„კაპიტალისტური წყობის ეკონომიკური ანარქია არის ბოროტების ნამდვილი ფესვი... დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს ამ მძიმე ბოროტებასთან ბრძოლის მხოლოდ ერთი გზა – სოციალისტური ეკონომიკის შემოყვანა განათლების სისტემასთან ერთად, საზოგადოების საკეთილდღეოდ მიმართულთან...“

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIX ყრილობა მოსკოვში, 1952 წლის ოქტომბერში ჩატარდა. საანგარიშო მოხსენებით მალენკოვი გამოვიდა. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის, ს.ბუროვის მოხსენების მიხედვით ყრილობამ მიიღო სსრ კავშირის განვითარების ხუთწლიანი (1951-1955) გეგმის დირექტივები. მოხსენებით პარტიის წესდებაში ცვლილებების შესახებ გამოვიდა ხრუშჩოვი. ყრილობაზე ბერიაც გამოვიდა. საბოლოო სიტყვა სტალინმა წარმოთქვა 14 ოქტომბერს.

ყრილობაზე შეიქმნა პარტიის პროგრამის გადამმუშავებელი კომისია ასეთი შემადგენლობით: სტალინი – თავმჯდომარე, ბერია, იუდინი, კაგანოვიჩი, კუუსინენი, მალენკოვი, მოლოტოვი, პოსპელოვი, რუმიანცევი, საბუროვი, ჩესნოკოვი.

კომისიაში ბერიას ყოფნა და ხრუშჩოვის არყოფნა თავისთავად დამაფიქრებელია, როგორც მოლოტოვის ყოფნაც მიქოიანის არყოფნისას; თუმცა მთავარი აღმოჩნდა საკადრო შედეგები ყრილობისა, რომელიც დაიწყო, როგორც სკპ (ბ) ყრილობა, დამთავრდა კი როგორც სკკპ-ის ყრილობა. მაშინ ფიქრობდნენ, რომ პარტიას მხოლოდ შეეცვალა სახელი, მაგრამ გამოირკვა, რომ ის ამ ყრილობაზე, ფაქტობრივად, დასამარდა. მომდევნო, XX ყრილობა იყო უკვე ყრილობა არა ლენინურ-სტალინური ფორმაციის კომუნისტებისა, არამედ მოზეიმე პარტოკრატიის პირველი ყრილობა.

1952 წლის 16 ოქტომბერს ცკ-ის პლენუმმა პოლიტბიუროს ნაცვლად აირჩია ცკ-ის პრეზიდიუმი არნახული მრავალრიცხოვანი შემადგენლობით – 36 კაცი, 25 წევრი და 11 კანდიდატი (კანდიდატთა შორის იყვნენ ბრეჟნევი და კოსიგინი...). ამავე დროს, სტალინის წინადადებით, საკითხების ოპერატიულად გადასაჭრელად შეიქმნა სკკპ-ის ცკ-ის პრეზიდიუმის წესდებისგარე ბიურო სტალინის, ბერიას, ბულგანინის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, მალენკოვის, პერვუხინის, საბუროვის, ხრუშჩოვის შემადგენლობით.

პრეზიდიუმში ვერ შევიდნენ ისეთი დიდი ფიგურები, როგორებიც მოლოტოვი და მიქოიანია. სტალინმა ისინი სერიოზულად გააკრიტიკა პლენუმზე 16 ოქტომბერს და გააკრიტიკა დამსახურებულად (თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავდა მათთვის, როგორც ამას ტყუილად ამტკიცებენ „დემოკრატიული მკვლევარები“ – რაღაც სრულ დაცემას და რეპრესიებს).

ყველაზე მნიშვნელოვანი კი მომავლისათვის ის იყო, რომ პლენუმმა, აგრეთვე, ჩამოაყალიბა „ხელმძღვანელი ხუთეული“: სტალინი, ბერია, ბულგანინი, მალენკოვი, ხრუშჩოვი. გენერალური მდივანი არ აურჩევიათ.

სტალინმა გამოთქვა ცკ-ის მდივნობიდან წასვლის სურვილი, ოღონდ ამას არავინ არ დაეთანხმა. ბელადის ამ ნაბიჯს „მკვლევარები“ გვიფორმებენ როგორც იმისი მხრიდან თანამებრძოლთა იეზუიტურ „ერთგულების გამოცდას“; თუმცა სტალინს არ შეიძლება წინასწარვე არ ეგრძნო, რომ იმის ამგვარ სურვილს არავინ არ დაუჭერს მხარს. იმ მომენტში ხომ ვერავინ ობიექტურად ვერ შეძლებდა ბელადის სრულფასოვან ალტერნატიულ შეცვლას. ბერიაც კი!

ამგვარი განცხადებით სტალინს უფრო განზრახული ჰქონდა თავისი მეორე წინადადების მიღებაზე შანსების ამაღლება – სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ულებამოსილებათა მოხსნის თაობაზე, რაღაც კენჭისყრასაც კი იგეგმება, თუმცა ამ დროს ბერიას კანდიდატურა არ განიხილებოდა – განიხილებოდა კი, ფრიად მოულოდნელად, პონომარენკოს კანდიდატურა. ასე იყო თუ ისე, სტალინი დარჩა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ოთხ თვეზე ოდნავ მეტი სიცოცხლით...

პატივცემულო მკითხველო! ჩემი წიგნი ვრცელია, თუმცა მასში აღწერილი ეპოქა განუზომლად უფრო ვრცელია; არადა, რა არასრულადაა გამორკვეული, თანაც რა იშვიათად იკვლევენ კეთილსინდისიერად... აგერ ნიკოლაი ზენკოვიჩი „აანალიზებს“ 1952-ის ბოლო თვეებსა და 1953-ის პირველ თვეებს და აცხადებს, რომ აიო, აქამდე ბევრნი ბერიას ასახელებენ სტალინის მკვლელადო; და მერე ვის გინდა, რომ არ იმოწმებს: ავტორხანოვს, სვეტლანა ალილუევას, ვ.ფ.ალილუევის „არგუმენტებს“, რომელიც ბერიას მხარეს მინიშნებით ამტკიცებს, თითქოს საკმარისი იყო ბელადს ვინმე შეექო და ის შექებული „სადღაც“ ქრებოდაო, იმიტომ, რომ ბერია ვითომც „კონკურენტებს“ ვერ იტანდა.

მოსკოვი კი არა, რაღაცა სიცილიაა, რა!

ამასთან „მამხილებელი“ კითხულობს: სადაა ვოზნესენსკი, კოსარიევი, კუზნეცოვი, რა მოუვიდათ ორჯონიკიძეს, ჟდანოვს?

რა, ზენკოვიჩმა არ იცის, რომ ბერია აქ არაფერ შუაშია? ზენკოვიჩი ხომ, უკვე სხვა ადგილას, პირდაპირ გვამცნობს, რომ სტალინი მოკლა ხრუშჩოვმა, მაგრამ ეს – სხვა ადგილას; რაც შეეხება სხვებს, თითქოს ბერიას მოკლულებს...

ორჯონიკიძემ თავი მოიკლა 1937 წლის 18 თებერვალს (სერიოზულად, საერთოდ რომ ითქვას, დაბნეულმა და მრავლის დამბნევმა)... ბერია ჯერ კიდევ თბილისში იყო.

კოსარევი 1938 წლის 29 ნოემბერს დააპატიმრეს, როცა ბერია ჯერაც არ გახლდათ სახკომი, თუმცა ეჟოვი ჩამოცილებული იყო ხელმძღვანელობას; კი მაგრამ, რითი შეეძლო სსრ კავშირის მთავარ კომკავშირელს ბერიასთვის ხელის შეშლა? კოსარევი 1939 წლის თებერვალშია დახვრეტილი სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის განაჩენით. რეაბილიტირებულია „პარტიული წესით“ 1989 წლის 27 აპრილს, სკკპ-ის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მიერ, ესე იგი, ფაქტობრივად, არცაა რეაბილიტირებული.

ჟდანოვი „კრემლიოვკის“ ექიმებმა მაშინ მოაკვდინეს, როცა ბერია არ ხელმძღვანელობდა სპეცსამსახურებს.

ვოზნესენსკი და კუზნეცოვი?

კარგი, აჰა პირდაპირი ციტატა „სკკპ-ის ცკ-ის მოამბის“ № 2-დან (1989 წლისა):

„გაბერა რა საქმე სრულიად რუსეთის საბითუმო ვაჭრობის ჩატარების უკანონობის შესახებ (რომელიც დიახაც უკანონოდ გაიმართა – ს.კ.), მალენკოვმა სხვა საბაბებიც გამოიყენა ლენინგრადელ ხელმძღვანელთა დისკრედიტაციისთვის...“

თარგმნა
**თამაზ ეზანოიძემ**

(გაგრძელება იქნება)

**ძიუდო**

# 81 კილო – ისევ აქილევსის ქუსლი



**გუშინ ლონდონის ოლიმპიურ ტატამზე 81 კილოში ავთანდილ ჭრიკიშვილი ცდიდა ძალებს. პირველ წრეში იგი თავისუფალი იყო, ხოლო მეორეში ხორვატ ტომისლავ მარიჯანოვიჩს დაუპირისპირდა. ექსიუგოსლავი განსაკუთრებული შედეგებით არ გამოირჩევა, ქართველი ძიუდოისტი კი 2010 წლის ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონია ახალგაზრდებში და ბოლო წლინახევრის განმავლობაში ოთხი საერთაშორისო ტურნირი აქვს მოგებული.** წლეულს ჩელიაბინსკში ევროპის ჩემპიონატზე მე-5 იყო. ყოველივეს მიუხედავად, ეტყობა, 81 კილოში ქართველთა უსიამოვნო ტრადიცია გრძელდება: ჭრიკიშვილმა პირველი პაექრობა აქტიურად დაიწყო. არბიტრებს მეტოქე გააფრთხილებინა კიდეც, ბოლო წამებზე კი ვაზარი აიღო და მომდევნო ეტაპზე გავიდა. იქაც მაინცდამაინც დიდად არაფრით გამორჩეულ ამერიკელს – ტრეის სტივენსს გადაეყარა. ჭრიკიშვილმა პირველი ორთაბრძოლისას ტრავმა მიიღო, რის გამოც ოკეანისგაღმელთან შეხვედრა რამდენჯერმე შეჩერდა. ძირითად დროში მეტოქეებმა თითო გაფრთხილება მიიღეს, თავად კი მომგებიანი ქულა ვერ დაიმსახურეს, ამიტომ დაინიშნა დამატებითი დრო, სადაც ამერიკელი გააქტიურდა და მეორე წუთზე მტკივნეული ილეთით წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

დღეს 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ევროპის წლევანდელი ჩემპიონი და კონტინენტის პირველობების სამგზის პრიზიორი ვარლამ ლიპარტელიანი იჭიდავებს. იგი პირველ წრეში კამერუნელ დიუთონე დოლასენთან გაარკვევს ურთიერთობას.

**ლექსო ცინცაძე**

**სეზონის წინ**

# დღეს ბოლო ვადაა

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებსა და უმაღლესი ლიგის კლუბების პრეზიდენტებს შორის მორიგი შეხვედრა გაიმართა. ეს შეხვედრები სათავეს მაისის ბოლოდან იღებს და მას შემდეგ უკვე მეხუთედ შეიკრიბნენ. რა თქმა უნდა, სასაუბრო თემა მოახლოებული სეზონია – უმაღლესი ლიგის დაწყებამდე ორ კვირაზე ნაკლები დარჩა.**

ფედერაციის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას, ბუნებრივია, პრობლემატურ საკითხებზე ვესაუბრეთ – საწევროს გადახდაზე, სტადიონების უკმარისობაზე... მათ შორის, „ზესტაფონის“ თემაზეც: – კლუბების პრეზიდენტებთან გამართულ მეხუთე შეხვედრაზე. საუბარი იყო სტადიონების მდგომარეობაზე, საწევრო თანხის შემოტანაზე. ამ მომენტისთვის სამ კლუბს არ აქვს თანხა შემოტანილი: „ზესტაფონს“, „მეტალურგსა“ და „მერანს“.



**– როდისაა ბოლო ვადა?**

– 1 აგვისტოს საღამომდე.

**– და რომ ვერ მოასწრონ?**

– მაშინ ისინი არ დაიშვებიან უმაღლეს ლიგაში. შესაბამისად, არიან კლუბები, რომლებიც ამ სიტუაციაში ჩაენაცვლებიან მათ უმაღლეს ლიგაში: 1. „გურია“, 2. „სპარტაკი“, 3. „გაგრა“. ეს დებულებითაა, რომ თუ გუნდი საწევროს ვერ გადაიხდის, უმაღლესში არ დაიშვება. თავად კლუბების სურვილიც, როცა შეხვედრები იმართებოდა, ასეთი იყო. მათ სურდათ, რომ ჩემპიონატში ეთამაშათ მხოლოდ გამართულ გუნდებს. თუმცა, არა მგონია, საქმე იქამდე მივიდეს, რომ თანხა ვერ შემოიტანონ. იმედია, ამ მხრივ პრობლემა არ იქნება.

**– ისე, გავრცელდა ხმები, თითქოს „ზესტაფონი“ პირველ ლიგაში დაქვეითებას აპირებს.**

– არა, ამაზე საუბარი არ ყოფილა. ჩემპიონ გუნდს რა უნდა პირველ ლიგაში... იმედია, 1 აგვისტოს საღამომდე გადარიცხავენ თანხას.

**– რა სიტუაციაა სტადიონების მხრივ? მაგალითად, სად ითამაშებს მარტვილის "მერანი"?**

– როგორც ვთქვი, უკვე მეხუთე შეხვედრა შედგა, მეექვსე კი 6 აგვისტოს გაიმართება. ფედერაციის კომისია ადგილზე შეამოწმებს სტადიონებს და გადაწყვეტს, თუ სად შეიძლება თამაში და სად – არა. „ტორპედომ“ და „ზესტაფონმა“ განაცხადეს, მზად ვართ, „მერანს“ სტადიონი დავუთმოთ და საშინაო მატჩები ჩვენთან ჩაატაროსო. ბოლნისის სტადიონის საკითხი ჯერ კიდევ შესასწავლია და თუ ბოლნისში ვერ მოხერხდა თამაში, „სიონი“ საშინაო შეხვედრებს "მიხეილ მესხზე", რუსთავის „ფოლადზე“ ან „ბასაზე“ გამართავს. ეს ჩემი ახირება არაა: კლუბების სურვილი იყო, რომ ჩემპიონატში მათ მიეღოთ მონაწილეობა, რომლებსაც ფინანსური სიტუაცია დალაგებული ექნებათ და ასევე, ყველას სურვილია, რომ თამაშები უხარისხო მინდვრებზე არ გაიმართოს.

აქვე, ლევან კვარაცხელიასთვის მსაჯობის აკრძალვის თემაზე: „ლევან კვარაცხელიამ ნორმატივები ვერ ჩააბარა, რადგან ტრავმა ჰქონდა. როგორც კი ჩააბარებს, იმ დღიდან შეეძლება მსაჯობა“, – გვითხრა ფედერაციის მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებლების განყოფილების უფროსმა ლევან ფანიაშვილმა.

გეცოდინებათ, კვარაცხელიამ 26 მაისს „დილა“-„ზესტაფონის“ (4:1) საქართველოს თასის ფინალი იმსაჯა და ამ შეხვედრაში მის მოქმედებებს დიდი რეზონანსი მოჰყვა. ფანიაშვილმა გვითხრა, რომ კვარაცხელია აგვისტოს შუა რიცხვებში ეცდება ნორმატივების ჩაბარებას, მანამდე კი ვერ იმსაჯებს.

„20 ივლისს იყო ტესტირება და კვარაცხელიას გარდა, კიდევ რამდენიმემ ვერ ჩააბარა. ეს ჩვეულებრივი ამბავია, მერე შეუძლიათ გადაბარება. ყოველ შემთხვევაში, არანაირი ინფორმაცია არ მაქვს, თითქოს მას მსაჯობა საერთოდ აუკრძალეს“.

ჩვენ ზვიად სიჭინავასთანაც გადავამოწმეთ ინფორმაცია, რადგან სფფ-ის ხელმძღვანელობას აქვს უფლება, ფანიაშვილისგან დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ პირისთვის მსაჯობის უფლების ჩამორთმევაზე.

სიჭინავამაც იგივე გვითხრა, რაც ფანიაშვილმა – კვარაცხელია მხოლოდ ნორმატივების ჩაბარებამდე ვერ იმსაჯებსო.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ქართველები ლონდონში**

## მშვილდოსნობა

**ქრისტინე ესებუა მესამედ მონაწილეობს ოლიმპიურ თამაშებში. შარშან ტურინის მსოფლიო ჩემპიონატზე ფინალური შეხვედრა ჩილელ დენისე ვან ლამონთან წააგო და მეორე ადგილს დასჯერდა.** ალბათ, ბედი იყო – ლონდონის ოლიმპიური თამაშების საკვალიფიკაციო ტურნირზე ქართველმა ჩუბინმა 642 ქულით 34-ე ადგილი დაიკავა და მეთექვსმეტედფინალში სწორედ ჩილელ მსოფლიოს ჩემპიონსა და პანამერიკული თამაშების წლევანდელ გამარჯვებულს ლამონს დაუპირისპირდა. ესებუამ რევანშის შანსი ჩინებულად გამოიყენა – მეტოქეს სამივე სეტი მოუგო (28:22, 28:26, 26:25) და მომდევნო წრეში გავიდა, სადაც 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (გუნდურში) და ვერცხლის მედალოსანი (ინდივიდუალურში), 2005 წლის მსოფლიო ჩემპიონი და 2012 წლის მსოფლიო თასის მფლობელი კორეელი სუნგ ჯინ ლიი ელოდა. პირველი სეტი აზიელმა ერთი ქულით მოიგო – 26:25. მეორეში ოთხქულიანი უპირატესობით აჯობა (29:25) ჩვენებურს. ესებუამ მესამეში სცადა მატჩში გარდატეხის შეტანა – 28:27 სძლია მრისხანე მეტოქეს, თუმცა მეოთხეში ისევ ქულით დამარცხდა (27:28) და თამაშებს გამოეთიშა.



## ცურვა

**17 წლის ირაკლი ბოლქვაძემ დამოუკიდებელი საქართველოს ცურვის ისტორიაში პირველმა შეასრულა ოლიმპიური ნორმატივი და ლონდონში გამოსვლის უფლება დაიმსახურა.** ივლისის დასაწყისში ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა საქართველოს რეკორდით. ბოლქვაძემ გუშინ ბრიტანეთის დედაქალაქშიც გააუმჯობესა საკუთარი მიღწევა 200 მეტრზე ბრასით ცურვაში – 2.15,86 აჩვენა, რაც 34 მონაწილეს შორის მხოლოდ 28-ე აღმოჩნდა და, ცხადია, ნახევარფინალში ვერ გავიდა.



## ჩოგბურთი

**ანა ტატიშვილი და მაკა ჩახნაშვილი წყვილებში სლოვენიელებს – 26 წლის ანდრეა კლეპაჩსა და 31 წლის კატერინა სრებოტნიკს დაუპირისპირდნენ.**



პირველი ხელი ჩვენებმა დაძაბულ პაექრობაში 6:7 დათმეს. მეორე სეტში ქართველებმა 6:3 იმარჯვეს. გადამწყვეტი მესამე ხელი სლოვენიელებმა იოლად მოიგეს – 6:2 და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

**გივი გაგუა**



**კალათბურთი**



# დაცვას მიხედეთ, დაცვას!

**ტალინის საერთაშორისო ტურნირის სტარტზე მასპინძლებთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრები გათამაშების უმთავრეს ფავორიტად მიგვაჩნდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, გამოსასწორებელი ბევრი გვქონია, უპირველესად – დაცვაში თამაში.**

ამაში ამერიკის კოლეჯების ნაკრებთან გამართულმა მეორე შეხვედრამ დაგვარწმუნა, რომელიც მეორე დამატებით დროში წავაგეთ – 124:129. აღსანიშნავია, რომ უიღბლო დებიუტის შემდეგ (პირველი ტაიმი – 47:58) „ჯვაროსნებმა“ მდგომარეობა გამოასწორეს და ნატურალიზებულ მცველს კორი ფიშერს რომ საჯარიმოები ჩაეგდო, წარმატებასაც მიაღწევდნენ.

**ყველაზე შედეგიანები:**

მარკოიშვილი – 31 ქულა, სანიკიძე – 30 ქულა, 15 მოხსნა, შენგელია – 27 ქულა, 13 მოხსნა.

ასე რომ, მთავარი პრიზის მფლობელს საქართველო-ჩეხეთის ბრძოლა გამოავლენს, რომელსაც ორი მოგება აქვს.

**გიორგი შოთაძე**

ნავთობპროდუქტები

# ფული, რომელსაც ბენზინის სუნი ასდის



**თუკი ჩვენში ვინმეს მაინც უკვირს სამომხმარებლო ბაზარზე მაღალი ფასები, რომლებზეც არც სეზონურობის ფაქტორი მოქმედებს მაინცდამაინც, არც საქონლის ოდენობა, არც სხვა რაიმე გარემოება, რომელიც, ჩვეულებრივ, სხვაგან ფასების კლებას იწვევს, მაშინ ყურადღება აუცილებლად საწვავის ფასებს უნდა მიაქციოს, რომლებიც წლების მანძილზე სტაბილურად მაღალია, რასაც სათანადო შედეგიც მოჰყვება. რამდენიც უნდა ამტკიცონ საწვავის იმპორტიორი კომპანიების წარმომადგენლებმა, საქართველოში საწვავის მაღალ ფასს საერთაშორისო ბაზარზე მისი სიძვირე განაპირობებსო, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ იმ პერიოდებშიც კი, როცა მსოფლიოში ნავთობპროდუქტებზე ფასი დაბლა იწევს, ჩვენში, უიშვიათესი გამონაკლისების გარდა, იგი ძველებურად მაღალი რჩება.**

ჩვენი აზრით, საქართველოში ნავთობპროდუქტების მაღალი ფასი, უწინარესად, ბაზარზე რამდენიმე მონოპოლისტის არსებობითაა განპირობებული, რასაც ისევ ფასების პრაქტიკულად ერთი და იგივე დონე, მათი მყისიერად ერთნაირად მომატება და ასევე მყისიერად უმნიშვნელოდ დაკლება მოსდევს, რაც ძალიან იშვიათად ხდება. თანაც ეს იმ პირობებში, რომ, თუკი გავრცელებულ ინფორმაციას დავეყრდნობით, ბენზინი და დიზელის საწვავი ზოგს მეზობელი აზერბაიჯანიდან შემოაქვს, ზოგს კი ევროპიდან. ამასთან, საწვავის სიძვირეს თავად იმპორტიორებიც და მათი პროფესიული გაერთიანების **(ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის — ო.ტ.)** მესვეურნიც საქართველოში არახელსაყრელ საგადასახადო გარემოს აბრალებენ. კონკრეტულად კი ბენზინისა და დიზელის საწვავის მაღალ ფასს, მსოფლიო ბაზარზე მის სიძვირეს, რომელსაც სხვადასხვა პოლიტიკური გარემოებები განაპირობებენ, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, მათი აქციზის გადასახადით, ასევე დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრა განაპირობებს. გამოსავალს კი საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაციაში ხედავენ, რაც ისევ ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა ინტერესებში შედის და არაფრით არ წაადგება არც სახელმწიფო ბიუჯეტს, არც მომხმარებელს, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ისევ კარტელური გარიგების ხაფანგში აღმოჩნდება, რასაც თავად მსხვილი კომპანიების წარმომადგენლები კატეგორიულად უარყოფენ.

საქართველო და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ეკონომიკური უფსკრული რომაა, რასაც კიდევ უფრო მეტად სარესურსო პოტენციალთა სხვაობა აღრმავებს, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ამერიკას, ყველა სიკეთესთან ერთად, საკუთარი ნავთობიც აქვს და ნავთობპროდუქტების უზარმაზარი სტრატეგიული მარაგიც, თუმცა ისინი უკიდურესი გასაჭირის მომენტის დადგომამდე სტრატეგიული, ხელშეუხებელი მარაგის კატეგორიაშია მოქცეული. ჩვენ კი არც ნავთობი გვაქვს, არც ნავთობგადამამუშავებელი თუნდაც პატარა ქარხანა (რაც გვქონდა, ისიც ვილაცების „ჯიბეში" აღმოჩნდა), ამიტომაც ბენზინიც და დიზელის საწვავიც საზღვარგარეთიდან ისევე შემოგვაქვს, როგორც ამას ამერიკის შეერთებული შტატები აკეთებს. ამას იმიტომ ვაქცევთ ამდენ ყურადღებას, რომ ჩვენში ნავთობპროდუქტები მესამედით, კერძოდ, 33-35 პროცენტით უფრო ძვირია, ვიდრე ამერიკაში. თანაც ეს მაშინ, როცა იქ მსოფლიოში მოხმარებული ნავთობპროდუქტების მთელი მოცულობის დაახლოებით მეხუთედს მოიხმარენ! მეტიც: საქართველოზე იაფია ნავთობპროდუქტები მეზობელ სომხეთშიც კი, რომელსაც, ჩვენგან განსხვავებით, აზერბაიჯანი, პოლიტიკური დაძაბულობის გამო, არც ბენზინსა და დიზელის საწვავს, არც გაზს არ აწვდის, რომელიც მას რუსეთიდან შემოვლითი გზით, ისევ საქართველოს გავლით შეაქვს!

ამიტომაც არის, რომ ჩვენში საწვავის მაღალი ფასის ახსნას ხეირიანად ვერავინ ახერხებს, ხოლო ყველა მცდელობა, საბოლოო ანგარიშით, უფრო ციფრებითა და უცხოური ტერმინოლოგიით ჟონგლიორობაა და სხვა არაფერი. ვინმემ იქნებ ამას ზედმეტად მოურიდებელი უწოდოს, მაგრამ რა დავარქვათ საწვავის მაღალი ფასების გამართლების მცდელობას, როცა ამის ხსნას იმით ცდილობენ, რომ ქვეყანაში აღარც ბენზინი, აღარც დიზელის საწვავი კონტრაბანდით აღარ შემოაქვთ, ნავთობპროდუქტების ფალსიფიკაცია აღარ ხდება, ხარისხის მონიტორინგი განუხრელად ხორციელდება და ყველა გადასახადიც სათანადოდ მიიმართება ბიუჯეტში? მაგრამ, განა სხვაგან ასევე არ ხდება იქ, სადაც საწვავი ჩვენზე გაცილებით იაფია? ამ შემთხვევაში, ცხადია, სულაც არ ვგულისხმობთ ნავთობით უმდიდრეს ქვეყნებს, ვთქვათ, ვენესუელას, ანდა ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებს, სადაც ლიტრი ბენზინი ჭიქა სასმელ წყალზე იაფია.

საწვავის სიძვირეს ასევე ქვეყანაში ინფრასტრუქტურის გაფართოებით, სატრანზიტო დერეფნის გაზრდილი ფუნქციით, რაც სატვირთო გადაზიდვების ინტენსივობის მატებით, მანქანების ოდენობის ზრდით, ტურისტული სეზონით და ბევრი სხვა მიზეზით ხსნიან, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან სავსებით ბუნებრივია, რომ მოხმარების ზრდასთან ერთად შესაბამისად იზრდება ნავთობპროდუქტების იმპორტიც, რასაც დაბალანსებული ფასები უნდა „მოსდევდეს", მაგრამ მოვლენები საპირისპირო მიმართულებით მიედინება. მით უმეტეს, რომ, როგორც აცხადებენ, საწვავის ფასების ზრდა შემდგომშიც მოსალოდნელია, რასაც ირანის ფაქტორით ხსნიან, რომელიც კარგა ხანია, ორმუზის სრუტის გადაკეტვით იმუქრება. თუ მოვლენები ამ სცენარით განვითარდება, მაშინ ნავთობპროდუქტები მთელ მსოფლიოში ნამდვილად გაძვირდება, მაგრამ, ალბათ, რეალობასთან გარკვეული შესაბამისობით, მაგრამ ჩვენში ეს ისედაც მტკივნეული პროცესი როგორ წარიმართება, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოში სხვადასხვა მიზეზით ბოლო დროს ნავთობპროდუქტების მოხმარება გაიზარდა, რასაც წლის პირველი ნახევრის მონაცემები მოწმობს. კერძოდ, იანვარ-ივნისში ქვეყანაში მთლიანად დაახლოებით 378,3 მილიონი ლიტრი ბენზინი და დიზელის საწვავი შემოიტანეს, რაც 8,5 პროცენტით აღემატება 2011 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთან, ბენზინისა და დიზელის საწვავის რეკორდულად მაღალი ფასები მომხმარებელს სულ უფრო მეტად ალტერნატიულ საწვავზე, კერძოდ, საავტომობილო გაზზე გასვლას აიძულებს, რადგან მისი ფასი თხევადი საწვავის ფასზე გაცილებით დაბალია (კუბური მეტრი ავტოგაზი 1,1 ლარი ღირს), თანაც შეუდარებლად სტაბილური.

მიუხედავად ავტოგაზის როგორც საწვავის მთელი რიგი დადებითი მხარეებისა, საქართველოში ბენზინისა და დიზელის საწვავზე მოთხოვნილება ძალიან მაღალია. ყველაზე დიდი მოთხოვნა კი „რეგულარის" მარკის ბენზინზეა — მას რეალიზებული პროდუქციის მთელი მოცულობის 70 პროცენტი უკავია და რომელსაც წლეულს, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 7 პროცენტით უფრო მეტს ყიდულობენ. ყველაზე ნაკლებად, მაგრამ მაინც მოიმატა (3 პროცენტით) „სუპერის" მარკის ბენზინის გაყიდვამ, , რაც არც არის გასაკვირი, რადგან მისი მომხმარებელი ძვირიანი ავტომანქანების პარკი ქვეყანაში შედარებით მცირეა.

მოკლედ, ვითარება საავტომობილო საწვავის ბაზარზე ასეთია და როგორი იქნება მისი ფასები შემოდგომაზე, ჭირნახულის აღება-დაბინავებისა და ჩაბარების დროს, ასევე ირანსა და სირიაში მიმდინარე მძაფრი მოვლენების ფონზე, ახლო მომავალში გამოჩნდება.

**ოთარ ტურაბელიძე**

დავიცვათ უსაფრთხოება!

# სიცხე წყლისკენ გვექაჩება



**იმისთვის, რომ ბანაობამ არაფერი მოგვიტანოს კმაყოფილებისა და სიამოვნების გარდა, უნდა დავიცვათ უსაფრთხოების გარკვეული წესები.**

### ტბები და გუბურები

**მიდით წყლის პირას, შეაფასეთ, რამდენად სუფთაა. ნაპირი თუ ძალიან დაბინძურებულია — არ ღირს წყალში შესვლა, ვინაიდან ფსკერზე შეიძლება ეყაროს, ვთქვათ, შუშის ნამსხვრევები.**

ნელა შედით წყალში, ფეხით მოსინჯეთ ფსკერი. შედით მუხლებამდე. ფეხი დადგით ნელა და უმალვე ნუ გადაიტანთ ყოველ ნაბიჯზე თქვენს სიმძიმეს ტერფზე — ეს დაგვეხმარება შევამციროთ ფეხის გაჭრის რისკი.

თუ ქვიშა ფეხქვეშ ტლაპოდ იქცა ანდა საფლობად, უმჯობესია, საცურაოდ სხვა ადგილი ეძებოთ. აი, მაგარი თიხოვანი ფსკერი — სავსებით მისაღებია.

თუ შეგრძნება წყლისგან იცვლება — ხან თბილია, ხან უცებ ცივი, ეს ძლიერ ნაკადურ სისტემაზე მეტყველებს. ასეთ წყალსაცავში უმჯობესია შორს არ გავცუროთ ნაპირიდან, ვინაიდან მოულოდნელი მოხვედრა ყინულოვან წყალში კრუნჩხვით გვემუქრება.

### მდინარეები

**უნდა დარწმუნდეთ, რომ საბანაოდ არ აგირჩევიათ მორევი, რომელიც საშიშია თავისი ნაკადური სისტემითა და წყალქვეშა მორევებით. მორევები არის მკვეთრი მოსახვევების წინ ან ბოლოს. მათი განმასხვავებელი თავისებურებაა ის, რომ მათს ნაპირზე არიან დახრილები ტირიფები, წნორი, თელები, წყლის ბუჩქები, რომლებიც ხშირად მორევების თავზე იზრდებიან. მორევის კიდევ ერთი ნიშანი — საკმაოდ ფლატე ნაპირი: ნაბიჯი რომ ჩადგათ წყალში, უმალვე ღრმა ადგილებში ალმოჩნდებით, დიდია იმის ალბათობა, რომ თქვენ მორევის თავზე ხართ.**

შეაფასეთ მდინარის დინების სიჩქარე, ნელ-ნელა შედით სულ უფრო და უფრო მეტ სილრმეში, თუმცა უნდა შეინარჩუნოთ დგომის შესაძლებლობა.

თუ თუნდაც ფეხზე მდგომი გრძნობთ, როგორ ურტყამენ თქვენს სხეულს წყლის მასები და გაცვლევინებენ ადგილს, ასეთ ადგილზე ცურვა არ ღირს, უმჯობესია იჭყუმპალაოთ ნაპირზე. დიდი სიჩქარით მიმავალ მდინარეში ხომ ბევრი ჩაძირული ხეები და ტოტებიანი კუნძებია და მოცურავემ შეიძლება ტრავმა მიიღოს.

არ არის რეკომენდებული თუნდაც ნელი მდინარის პირდაპირი კუთხით გადაცურვაც მეორე ნაპირამდე: დინება მაინც წაგიღებთ ქვევით სულ ცოტა 3-5 მეტრით. ამიტომ დაგეგმილი ადგილისკენ გადაცურვა ზევიდან უნდა დაიწყოთ.

მოპირდაპირე ნაპირზე ამოსვლა შეიძლება, თუ ის ქვიშიანია ან თიხოვანი, საფლობი ტლაპო შეიძლება სახიფათო იყოს.

### არ შეიძლება

- **ფლატედან წყალში ჩაყვინთვა:** არც „თევზივით", არც „ჭუმპარასავით".
- ხიდებიდან გადახტომა.
- გამოქანებით წყალში ჩახტომა უცნობ ადგილზე.
- **ცურვისთვის ადგილის შერჩევა მეთევზეების მახლობლად:** ეს ქმნის ბადეში გახლართვის რისკს (ყველა მეთევზე ხომ მხოლოდ ანკესით არ თევზაობს).
- **ცურვა ლერწმიან ადგილებში:** იქ შეიძლება იყოს გველები, წურბელები, წყლის რწყილები, სხვა არასასიამოვნო არსებანი. ეს ეხება ისეთ ნაპირებსაც, სადაც იზრდებიან დუმფარები.
- **ღრმად ჩაყვინთვა.** შუა ზოლის წყლების წყალსატევები ჩვეულებრივად იმდენად მღვრიეა, რომ გაშლილი ხელის მანძილზეც ვერაფერს დაინახავ, რაიმე ტოტებიან კუნძს რომ გადაეყარო ძალიან ადვილია!
- ბანაობა იქ, სადაც ბევრი წყლის ფრინველი ბინადრობს, განსაკუთრებით იხვები. წყალში შეიძლება იყოს ბევრი ტკიპა. ტკიპების იმდენი მრავალსახეობა არსებობს, რომ ზოგის ნაკბენმა შეიძლება მუნი შეგვყაროს ანდა რაიმე ძნელად სამკურნალო ინფექციური დაავადება.
- მდინარის გადაცურვის დროს დატბორილ ან ძალიან ფლატე ნაპირზე გამოსვლა.
- იმ ადგილებში ბანაობა, რომლის მახლობლადაც მუშაობს მიწისმთხრელი მანქანები, ექსკავატორები, არის სარეწაო სადგური და მილსადენები.
- მეტად განიერი, სწრაფი ან ცივი მდინარის გადაცურვა.
- იმ წყალსატევებში ბანაობა, რომლებიც სასმელი წყლის რეზერვუარებს წარმოადგენენ.
- მისცე ბავშვებს ნება შევიდნენ წყალში, სანამ ამ თხელ წყალს კარგად არ შეისწავლით.
- ნება მისცე ბავშვებს, კარგადაც რომ ცურავდნენ ისინი, გაცურონ უცნობ წყალსაცავში ნაპირიდან 10 მეტრზე შორს.

ინფორმაცია

## სწავლება „დიდგორი 2012" დასრულდა

ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში" სამეთაურო-საშტაბო სწავლება „დიდგორი 2012„ დასრულდა.

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, დახურვის ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი და გაერთიანებული შტაბის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი დევი ჭანკოტაძე. სამინისტროსა და გაერთიანებული შტაბის პირველმა პირებმა სწავლების მონაწილეებს ტრენინგის წარმატებით გავლის სერთიფიკატები გადასცეს.

„დიდგორი 2012" ამერიკელი პარტნიორების დახმარებით ჩატარდა. სწავლების მიზანი სამეთაურო რგოლის მართვის უნარების დახვეწა იყო. სწავლების მონაწილე სამხედრო მოსამსახურეები პირობითი სცენარის მიხედვით მოქმედებდნენ და ოპერატიულად ასრულებდნენ დაკისრებულ დავალებებს. წვრთნაზე გამოყენებული იყო რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული სპეციალური სიმულატორები.

## ხანძრი ვაშლოვანის ნაკრძალში

ვაშლოვანის ეროვნულ პარკში ხანძრის შედეგად 1000 ჰექტარზე მეტი ტერიტორია დაიწვა. ხანძარი უკვე ლიკვიდირებულია. ცეცხლი ვაშლოვანის პარკში ორშაბათს, დღის მეორე ნახევარში გაჩნდა. არსებული ინფორმაციით, ხანძარს გადაურჩა უნიკალური ჯიშები, რადგან ცეცხლი ძირითადად ბუჩქებსა და ბალახებზე იყო გავრცელებული. ხანძრის შედეგად დამწვარია ტერიტორიაზე მდებარე მეცხვარეების საზამთრო ფერმაც, რომელიც ამ დროისთვის არ ფუნქციონირებდა.

ხანძრის ჩაქრობაში საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან ერთად, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების ქვედანაყოფები მონაწილეობდნენ.

ცეცხლის გაჩენის მიზეზი უცნობია.

ინტერპრესნიუსი



## გაითვალისწინეთ!

# აქტიური პროცესები აგვისტოში



**აგვისტოში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია რიცხვებში: 2-3, 6, 9-13, 16, 17, 22-24, 27, 31. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება. ყველა სახის ავარიულობის გაზრდა, სეისმოაქტივობისა და დაძაბულობის გაძლიერება სოციუმში.**
**ივლისში მაგნიტოსფეროს მცირე გადიდება გახშირდა. მზის აქტივობა შეიძლება გაიზარდოს, ამიტომ უმჯობესია, ვიმყოფებოდეთ ჩრდილში.**

**2 – სრული მთვარე.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილება, შესაძლებელია უძილობა, შეშფოთება. დაავადებანი შეიძლება მიდიოდეს მაღალი ტემპერატურით, მწვავე ანთებითი რეაქციებითა და შეტევებით. არ არის გამორიცხული ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება. რეკომენდებულია, შესაძლებლობის მიხედვით, თავი ავარიდოთ ოპერაციულ ჩარევებს, აცრებს, არ გადავტვირთოთ ორგანიზმი ფიზიკური დატვირთვით, ვიყოთ ზომიერი ჭამაში, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, მანქანის ტარებაზე და დოკუმენტების გაფორმებაზე.

**3 – მთვარე-ნეპტუნის შეერთება.** დიდია შეშუპების, კანის ალერგიული და ინფექციური დაავადებების, ტერფებში ტკივილების ალბათობა. არ გადავტვირთოთ ღვიძლი, ფეხები და სმენის ორგანოები. ალკოჰოლმა შეიძლება გამოიწვიოს დაავადებათა გამწვავება. შესაძლებელია ტრავმატიზმი დაბნეულობისგან, „ღრუბლებში ნავარდი“ და ზედმეტი ემოციურობა. არ არის გამორიცხული ძარცვა და ქურდობა. სასარგებლოა წყლის პროცედურები, ტერფების მასაჟი, მსუბუქი გასეირნებანი.

**6 – მთვარე-ურანის შეერთება.** ვენერა იმყოფება ტყუპების ნიშნის უკანასკნელ გრადუსებში. შესაძლებელია გაღიზიანება, მოუთმენლობა, თავის ტკივილი, მშფოთვარე ძილი. არ არის გამორიცხული ხელების, თვალებისა და ყურების ტკივილები. სასურველია, გადავდოთ კბილების მკურნალობა, უარი ვთქვათ ალმგზნებ საშუალებებზე, ყავაზე, შოკოლადზე, დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი. ერიდეთ დაცემებს, ორპირ ქარს, ნუ დაგეგმავთ მნიშვნელოვან საქმეებს – ვითარება შეიძლება მოულოდნელად შეიცვალოს. ხელსაყრელია გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა.

**9 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. შეიძლება შეინიშნებოდეს ძალების დაქვეითება, განწყობილების გაუარესება, შესაძლებელია ინფექციები, ყელის, სასუნთქი გზების დაავადებები. რეკომენდებულია, შევამციროთ ფიზიკური დატვირთვა, ვერიდოთ გაციებას და ორპირ ქარებს, არ გამოვიყენოთ ბოროტად ნაყინი და ცივი სასმელები. სასარგებლოა გასეირნება, სუნთქვითი ვარჯიშები. პროდუქტები უნდა იყოს ახალი. ხელსაყრელი დროა დაწყებული საქმეების დამთავრებისთვის. იყავით ყურადღებით ვაჭრობის, დოკუმენტების გაფორმებისა და ტრანსპორტით მოგზაურობის დროს.

**12 – მთვარე-იუპიტერის შეერთება.** შესაძლებელია ტემპერატურის ვარდნები. საალბათოა ქრონიკული ბრონქიტების, ფილტვების დაავადებების, ასთმის, ღვიძლის დაავადებების გამწვავება, საკვები პროდუქტების გადამუშავების გაუარესება. არ არის გამორიცხული ტკივილები ხელებში, ნევრალგია. რეკომენდებულია, დავიცვათ ზომიერება კვების და სმის დროს, ვერიდოთ გაციებას. ხელსაყრელი დროა მგზავრობისთვის, ინტელექტუალური საქმიანობისთვის, სერიოზული პრობლემების გადაწყვეტისთვის. სასარგებლოა გამსუფთავებელი პროცედურები, ფიზიკური ვარჯიშები, სუფთა ჰაერზე ყოფნა.

**13 – მთვარე-ვენერას შეერთება.** შეიძლება გაჩნდეს ემოციურობა, გაღიზიანება და ალგზნებითობა. შესაძლებელია დარღვევები საკვების გადასამუშავებელი ორგანოების მუშაობაში, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის მოქმედებაში, შეშუპებანი. არ არის გამორიცხული გაცივების ხასიათის ყელ-ყურის დაავადებანი. რეკომენდებულია თავი შევიკავოთ ალკოჰოლისგან, ცხარე საჭმლისგან, ნაყინისგან, ცივი სასმელებისგან და აქტიური წყლის პროცედურებისგან. ხელსაყრელი დროა დასვენებისთვის, სახლის კეთილმოწყობისთვის, სალონში, მაღაზიაში, ვერნისაჟებში მისვლისთვის.

**16 – მთვარე-მერკურის შეერთება.** შესაძლებელია უძილობა, ტკივილები გულში, ზურგში, ხელებსა და იღლიებში. დაავადებათა მიზეზი შეიძლება იყოს ფიზიკური გადატვირთვა, ემოციური ან ბუნებრივი დაძაბულობა, ალკოჰოლი, მოწევა და სტრესები. სასარგებლოა ფიზკულტურული ვარჯიშები, სრულფასოვანი ძილი და დასვენება, საჰაერო აბაზანები. ხელსაყრელი დროა მსუბუქი გასეირნებისთვის და ბავშვებთან ყოფნისთვის.

**17 – სრული მთვარე.** ორგანიზმი დასუსტებულია, შესაძლებელია არაადეკვატური და პათოლოგიური რეაქციები (განსაკუთრებით მამაკაცებში), გულ-სისხლძარღვთა სისტემის, ხერხემლის დაავადების გამწვავება, რადიკულიტი. არ შეიძლება მძიმე საგნების აწევა, მძიმე ფიზიკური ვარჯიშის შესრულება, აგრეთვე ღამის საქმეების წამოწყება და გეგმების დასახვა. რეკომენდებულია ვერიდოთ კონფლიქტებს, დავიწყოთ ძილისა და დასვენების რეჟიმი. ხელსაყრელი დროა მავნე თვისებებზე უარის თქმისთვის.

**22 – მზე გადადის ქალწულის ნიშანზე, მთვარის სატურნთან და მარსთან შეერთება.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. აქტიურობა და აგრესიულობა გადაეყრება სიფრთხილეს, პესიმიზმს და მოვალეობის გრძნობას. შესაძლებელია ინფექციური დაავადებები, თირკმელების ანთება, ძვლებისა და სახსრების დაავადებათა, გასტრიტის გამწვავება. არ არის გამორიცხული თავის ტკივილი, ციება, ისტერიკები, ნევროზები. ტრავმატიზმის საბაბი შეიძლება გახდეს არასაკმარისი გაუთვალისწინებლობა, დაბნეულობა, ალკოჰოლი. რეკომენდებულია კონტროლზე ვიქონიოთ ემოციები, შევინარჩუნოთ სიფხიზლე, უარი ვთქვათ ცხიმიან და ცხარე საკვებზე, ალმგზნებ საშუალებებსა და ალკოჰოლზე. დღეს არ ღირს ურთიერთობათა გარკვევა პარტნიორებთან და ხელმძღვანელობასთან, ხელფასის გაზრდის თხოვნა, ახალი საქმეების და ახალი გეგმების წამოწყება.

**24 – მთვარის პირველი მეოთხედი.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებანი. ვისაც აწუხებს სისხლის, ფილტვებისა და ნერვული სისტემის დაავადებანი, შესაძლებელია გამწვავება. დიდია მოტეხილობათა, უბედურ შემთხვევათა საფრთხე. სასარგებლოა სუნთქვითი ვარჯიშები, მასაჟი, დიეტა, ფსიქოთერაპია, სუფთა ჰაერზე ყოფნა. ხელსაყრელია შერიგება და ეკლესიაში მისვლა.

**27 – მთვარე-პლუტონის შეერთება.** დღევანდელი დღის შესაძლო პრობლემებია ტრავმატიზმი, ძვლებისა და სახსრების დაავადებანი, ემოციური და ფსიქიკური დარღვევები, სასქესო ორგანოების დაავადებანი, ენდოკრინული და სექსუალური მოშლილობანი. აკონტროლეთ საკუთარი ემოციები, ანალიზი გაუკეთეთ აზრებს, იკისრეთ ვალდებულება შეძლებისდამიხედვით, ერიდეთ გაციებას, ნუ ასწევთ სიმძიმეებს.

**31 – სრული მთვარე, მთვარე-ნეპტუნის შეერთება.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები, ნალექები. შესაძლებელია დაბნეულობა, ემოციურობა, ფსიქიკურ სნეულებათა გამწვავება, მხედველობის დასუსტება, ტკივილები ფეხის ტერფებში. გაზრდილია ავარიული და ტრავმასაშიში სიტუაციების ალბათობა. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე და ყავაზე, ვერიდოთ ქურდობას და მოტყუებას. სასარგებლოა გამწმენდი პროცედურები, ტერფების მასაჟი.

## ანეკდოტები

**– ქალიშვილო, შეიძლება, რომ გაგაცილოთ?**
**– მზერით, ყმაწვილო, მხოლოდ მზერით!**

* * *

**– დედი, ქუჩაში გავალ, ისე მენატრება სუფთა ჰაერი!**
**– კარგი, მაგრამ იმ სუფთა ჰაერს უთხარი, რომ ათ საათზე სახლში უნდა იყო.**

* * *

**ივანიჩი გალეწილი მთვრალი დაბრუნდა ახლობლის ბინიდან, სადაც ახალმოსახლეობაზე იყო დაპატიჟებული.**



**– ისეთი ბინა აქვს, ისეთი მაგარი ბინა!.. უნიტაზიც კი ოქროსი აქვს!**
**ცოლმა არ დაუჯერა, ამიტომაც მეორე დილით მან ცოლიც წაიყვანა ოქროს უნიტაზის საჩვენებლად.**
**კარი იმ ახლობლის ცოლმა გაუღო და ივანიჩი რომ დაინახა, ქმარს გასძახა:**
**– ეი, პეტკა! ის იდიოტი მოვიდა, გუშინ შენს საქსოფონში რომ მოისაქმა.**

* * *

**– ძვირფასო, ჩვენ სამსახურში 15 პროცენტით მეტს გადაგვიხდიან მავნე პირობებში მუშაობისთვის, – ეუბნება ცოლი ქმარს.**
**– რაო, იქაურების მოწამვლაც მოასწარი უკვე?**

* * *

**აეროპორტის მებაჟე ისე დიდხანს და გულმოდგინედ ჩხრეკდა მგზავრ გოგოს, რომ, როგორც პატიოსანი ადამიანი, იძულებული გახდა, მასზე დაქორწინებულიყო.**

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### „ჩვენ ამერიკა გვდევნის“

– აცხადებს ლეიბორისტების ლიდერი შალვა ნათელაშვილი, – სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებია თამადა და დირიჟორი საქართველოს თავს დამტყდარი ყველა უბედურებისა. პირველ რიგში იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი არჩევნები მინიმუმ 15 წელია, აღარ ტარდება და არჩევნების შედეგები წინასწარ იწერება სახელმწიფო დეპარტამენტში, თეთრ სახლში, ენდიაიში, აირაიში, ამერიკის საელჩოში. მემარცხენე პარტიის ლიდერი ფიქრობს, რომ ამერიკას შეიძლება უკან დაახევინოს მსოფლიოს უნივერსალურმა ორგანიზაციამ – გაერომ, სადაც ლეიბორისტების წერილობითი მიმართვა შევა.

„ახალი თაობა“.

### ორშაბათს „ნაციონალებში“ დიდი ჩხუბი მოხდა

კომპეტენტური წყაროს ინფორმაციით, ორშაბათ ღამით ანაკლიაში ვაკის მაჟორიტაროზის კანდიდატ გიორგი კარბელაშვილსა და „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთ წამყან იდეოლოგ გივი თარგამაძეს შორის ხმაურიანი დაპირისპირება მოხდა.

თვითმხილველის თქმით, ფაქტობრივად, საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე მივიდა. გივი თარგამაძემ ორშაბათ ღამით კარბელაშვილს პირდაპირ წაუყენა ულტიმატუმი – მიხვალ სააკაშვილთან და ეტყვი, რომ შენ აღარ გინდა ვაკის მაჟორიტარობა, დაასახელებ კონკრეტულ მიზეზს და ჩაეხსნები ამ მარათონსო....

„ალია“.

### მზადდება თუ არა ჯავახეთში შეიარაღებული აჯანყება

აზერბაიჯანული საინფორმაციო პორტალი „აზგლობუსნეტა“ სამცხე-ჯავახეთში შეიარაღებულ აჯანყებას პროგნოზირებს. კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი ამ ინფორმაციის გადამოწმებას ქართულ სპეცსამსახურებს ურჩევს და ამბობს, რომ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ქართულ რეგიონში მსგავსი საკითხის არსებობა რეალობას მოკლებული არ არის... „აზგლობუს-ნეტ“-ის ცნობით, სომხები საქართველოს სამხრეთის ოლქში – სამცხე-ჯავახეთში ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ სომხეთის აქტიური ყოვლისმომცველი დახმარებით, შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებენ.

„რეზონანსი “.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24